ანგარიშის ერთიანი ფორმა

უნივერსიტეტების, სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უნივერსიტეტებთან და სხვა უწყებებთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისათვის

# სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

(2025 წელი)

უმაღლესი საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების დასახელება:
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

სამეცნიერო-კვლევითი/სასწავლო ერთეულის (ფაკულტეტის) ხელმძღვანელი:

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში თეა ლაზარაშვილი

სამეცნიერო-კვლევითი/სასწავლო ერთეულის (ფაკულტეტის) სტრუქტურა (ერთეულში შემავალი განყოფილებების, დეპარტამენტების, მიმართულებების, ლაბორატორიების და ა.შ. ჩამონათვალი თანამშრომელთა პერსონალური შემადგენლობის მითითებით):

ეკონომიკური თეორიის და ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილება

გიორგი ბერულავა - განყოფილების ხელმძღვანელი, მთავრი მეცნიერ-თანამშრომელი;
ვლადიმერ პაპავა - მთავრი მეცნიერ-თანამშრომელი;
მურმან კვარაცხელია - მთავრი მეცნიერ-თანამშრომელი;
ნატალია დავლაშერიძე - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;
ეთერი კაკულია - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;
მარინე ცუცქირიძე - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;
თეიმურაზ გოგოხია - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;
ზურაბ წერეთელი - მეცნიერ-თანამშრომელი;
ქეთევან კურატაშვილი - მეცნიერ-თანამშრომელი;

მაკროეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და ფინანსების განყოფილება

მამუკა ხუსკივაძე - განყოფილების ხელმძღვანელი, მთავრი მეცნიერ-თანამშრომელი;

რამაზ აბესაძე - მთავრი მეცნიერ-თანამშრომელი;

თეა ლაზარაშვილი - მთავრი მეცნიერ-თანამშრომელი;
ნანა ბიბილაშვილი - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;
ლია დვალიშვილი - მეცნიერ-თანამშრომელი;
ზურაბ ნოზაძე - მეცნიერ-თანამშრომელი;
მედეა მელაშვილი - მეცნიერ-თანამშრომელი;
ციცინო თეთრაული - მეცნიერ-თანამშრომელი;

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განყოფილება

რევაზ ჯავახიშვილი - განყოფილების ხელმძღვანელი, მთავრი მეცნიერ-თანამშრომელი;
ლია თოთლაძე - მთავრი მეცნიერ-თანამშრომელი;
ნუნუ ქისტაური - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

**ხათუნა ბერიშვილი** - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;
**თამარ თაფლაძე** - მეცნიერ-თანამშრომელი;

**სექტორული და რეგიონალური ეკონომიკის განყოფილება**

**ვახტანგ ბურდული** - განყოფილების ხელმძღვანელი, მთავრი მეცნიერ-თანამშრომელი;
**ლინა დათუნაშვილი** - მთავრი მეცნიერ-თანამშრომელი;

თენგიზ ქავთარაძე - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

ქეთევან ქველაძე - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;
გიორგი ბრეგვაძე - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;
ნინო ჟორჟიკაშვილი - მეცნიერ-თანამშრომელი 0,5 შტ;

I.1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი/პროექტების ჩამონათვალი

*ეს პუნქტი ეხება მხოლოდ **სსიპ სამეცნიერო-კვლევით,** უნივერსიტეტებთან და სხვა სტრუქტურებთან არსებულ **დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს,** რომლებიც კვლევას აწარმოებენ პროგრამული დაფინანსებით.*

| № | პროექტის დასახელება | მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება | პროექტის შესრულების ვადები (დაწყებისა და დამთავრების წლები) | შემსრულებლები (პროექტში როლის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების სტრატეგია | ეკონომიკა | 2022-2028 | 1. **აბესაძე რამაზ** – პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი<br>2. **პაპავა ვლადიმერ** – პროექტის სამეცნიერო კონსულტანტი, შემსრულებელი<br>3. **ბურდული ვახტანგ**– პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი<br>4. **ბერულავა გიორგი** – პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი<br>5. **ხუსკივაძე მამუკა** – პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი<br>6. **ჯავახიშვილი რევაზ** – პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი<br>7. **კვარაცხელია მურმან** – შემსრულებელი<br>8. **ბიბილაშვილი ნანა** – შემსრულებელი<br>9. **ცუცქირიძე მარინე** – შემსრულებელი<br>10. **ლაზარაშვილი თეა** – შემსრულებელი<br>11. **დათუნაშვილი ლინა** – შემსრულებელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 12. კაკულია ეთერ– შემსრულებელი<br>13. თოთლაძე ლია – შემსრულებელი<br>14. ბერიშვილი ხათუნა – შემსრულებელი<br>15. ბრეგვაძე გიორგი – შემსრულებელი<br>16. დავლაშერიძე ნატა – შემსრულებელი<br>17. ქავთარაძე თენგიზ – შემსრულებელი<br>18. გოგოხია თეიმურაზ – შემსრულებელი<br>19. ქისტაური ნუნუ– შემსრულებელი<br>20. ქველაძე ქეთევან – შემსრულებელი<br>21. წერეთელი ზურაბ– შემსრულებელი<br>22. ჟორჟიკაშვილი ნინო – შემსრულებელი<br>23. დვალიშვილი ლია – შემსრულებელი<br>24. თეთრაული ციცინო – შემსრულებელი<br>25. მელაშვილი მედეა – შემსრულებელი<br>26. თაფლაძე თამუნა – შემსრულებელი<br>27. ნოზაძე ზურაბ – შემსრულებელი<br>28. კურატაშვილი ქრისტინე – შემსრულებელი |
| 2 | | | | |
| n | | | | |

I.3. მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის/პროექტების საანგარიშო წელს შესრულებული სამუშაოები

| № | პროექტის დასახელება | მეცნიერების დარგი და სამეცნიერო მიმართულება | პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები | შემსრულებლები (პროექტში როლის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| | პრობლემა 1. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება | ეკონომიკა | 01.01.2025-31.12.2025 | |
| 1 | სასურსათო უსაფრთხოება და მისი სახელმწიფო რეგულირება საქართველოში | –"– | –"– | რამაზ აბესაძე (პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი) |
| ანოტაცია: | | | | |

<table>
<tr><td colspan="5">ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა, ასევე მისი სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი. საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან (1991 წ.) 2014 წლამდე არ განხორციელებულა სისტემური და კომპლექსური ღონისძიებები ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების სისტემის უზრუნველსაყოფად. 2014 წლიდან მდგომარეობა, რადიკალურად არა, მაგრამ დადებითად იცვლება, როგორც სურსათის წარმოების ზრდის, ისე სასურსათო უსაფრთხოების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის სრულყოფის მიმართულებით.</td></tr>
<tr><td colspan="5">საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:<br>შესწავლილია საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების არსებული მდგომარეობა.</td></tr>
<tr><td colspan="5">შუალედური შედეგები:<br>გამოვლენილია სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი ნაკლოვანებები საქართველოში.</td></tr>
<tr><td>2</td><td>სურსათისა და კვების საერთაშორისო ორგანიზაციები</td><td>ეკონომიკა</td><td>01.01.2025-31.12.2025</td><td>რამაზ აბესაძე (პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი); ეთერი კაკულია (შემსრულებელი); ნანა ბიბილაშვილი (შემსრულებელი); თამარ თაფლაძე (შემსრულებელი); ქეთევან კურატაშვილი (შემსრულებელი);</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია:<br>უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მსოფლიო, ისე ეროვნული სასურსათო პრობლემების გადასაჭრელად სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესთა რეგულირებას, რასაც შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ. ძირითადად ეს ორგანიზაციებია: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (Food and Agriculture Organization (FAO); მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების კომიტეტი (Committee on World Food Security (CFS)); მსოფლიო სასურსათო პროგრამა World Food Programme (WFP); სურსათისა და კვების განყოფილება (Food and Nutrition Division (ESN)); სასოფლო-სამეურნეო ბაზრის საინფორმაციო სისტემა (Agricultural Market Information System (AMIS)); სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი. (International Fund for Agricultural Development of the United Nations (IFAD)); Heifer International; გაეროს ბავშვთა ფონდი United Nations Children's Fund (UNICEF); საერთაშორისო სურსათის პოლიტიკის კვლევითი ინსტიტუტი (International Food Policy Research Institute IFPRI). ნაშრომში გამოკვლეულია ამ ორგანიზაციათა საქმიანობა მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოში.</td></tr>
<tr><td colspan="5">საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:<br>შესწავლილია სასურსათო და კვების საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი ძირითადი საქმიანობა.</td></tr>
<tr><td colspan="5">შუალედური შედეგები:<br>გაანალიზებულია სასურსათო და კვების ორგანიზაციების საქმიანობა საქართველოში.</td></tr>
<tr><td>3</td><td>ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კოორდინაციის პრობლემები</td><td>ეკონომიკა</td><td>01.01.2025-31.12.2025</td><td>ბურდული ვახტანგ – პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია:<br>ნაშრომში განიხილება საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების დინამიკა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან კონტექსტში. სისტემატიზებულია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კოორდინაციის მექანიზმის შემადგენელი ფაქტორები. მოკლედ გაშუქებულია იმ სპეციალიზებული გლობალური ორგანიზაციების შინაარსი, რომლებიც კოორდინაციას უწევენ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. დასახულია მიმდინარე პერიოდში ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კოორდინაციის მექანიზმის გაუმჯობესების გზები.</td></tr>
<tr><td colspan="5">საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:<br>შესწავლილია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების დინამიკა. გაანალიზებულია იმ სპეციალიზებული გლობალური ორგანიზაციების შინაარსი, რომლებიც კოორდინაციას უწევენ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="5">შუალედური შედეგები:<br>დასახულია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კოორდინაციის მექანიზმის გაუმჯობესების გზები.</td></tr>
<tr><td>4</td><td>სასურსათო უსაფრთხოების ინსტიტუციური უზრუნველყოფა</td><td>ეკონომიკა</td><td>01.01.2025-31.12.2025</td><td>კვარაცხელია მურმან – შემსრულებელი</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია:<br>თემაში გამოკვლეულია სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელობა ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების საკითხების კონტექტში. როგორ უნდა მოხდეს ამ უსაფრთხოების ინსტიტუციური უზრუნველყოფა პრობლემის გადაწყვეტაში.</td></tr>
<tr><td colspan="5">საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:<br>შესწავლილია სასურსათო უსაფრთხოების ინსტიტუციური საფუძვლები და ძირითადი პრობლემები საქართველოში.</td></tr>
<tr><td colspan="5">შუალედური შედეგები:<br>გამოვლენილია სასურსათო უსაფრთხოების ინსტიტუციური უზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრის გზები.</td></tr>
<tr><td>5</td><td>სასურსათო უსაფრთხოების საინვესტიციო უზრუნველყოფა</td><td>ეკონომიკა</td><td>01.01.2025-31.12.2025</td><td>ლაზარაშვილი თეა – შემსრულებელი</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია:<br>დღევანდელ გლობალურ პირობებში, როდესაც მოსახლეობა განაგრძობს ზრდას, ხოლო კლიმატის ცვლილება საფრთხეს უქმნის სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობას, სასურსათო უსაფრთხოება მთვარ პრიორიტეტად გვევლინება. სასურსათო უსაფრთხოების საკითხი თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებული ინტერესის საგანია. დედამიწის მოსახლეობა მუდმივად იზრდება, რაც შესაბამისად ზრდის მოთხოვნას სურსათსა და სურსათის უსაფრთხოებაზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგნოზით 2050 წლისთვის მოსახლეობა 9,8 მილიარდამდე გაიზრდება. მსოფლიო მოსახლეობა წელიწადში 1,1%-ით იზრდება, რაც დაახლოებით 83 მილიონი ადამიანია. მდგომარეობას ართულებს აგრეთვე კლიმატის გლობალური ცვლილებები, პანდემიები, რაც დამატებით გამოწვევებს უქმნის მოსახლეობის ადეკვატური რაოდენობით სურსათით უზრუნველყოფას. სასურსათო კულტურებში ინვესტირება არა მხოლოდ სტაბილური საკვების მიწოდების კრიტიკულ საჭიროებას აკმაყოფილებს, არამედ ინვესტირებისათვის სიცოცხლისუნარიან და მომგებიან წამოწყებას წარმოადგენს. საკვებზე გლობალური მოთხოვნის პროგნოზი, სასურსათო კულტურებში ინვესტირების მრავალ შესაძლებლობას აძლევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, გავიდნენ მზარდ ბაზარზე და ამავდროულად წვლილი შეიტანონ გლობალურ მდგრადობაში.<br>ინვესტიციები სასურსათო კულტურებში გულისხმობს ფინანსური რესურსების სტრატეგიულ განაწილებას სოფლის მეურნეობაში, რომელიც მიმართულია მოსახლეობის მიერ მოხმარებული კულტურების მოყვანასა და წარმოებისკენ. აქედან გამომდინარე ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა არსებითად მნიშვნელოვანია არსებული აგროსასურსათო პროდუქტის რესურსული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და ეფექტიანდ გამოყენება.</td></tr>
<tr><td colspan="5">საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:<br>შესწავლილია ინვესტიციების როლი სასურსათო კულტურებში. აგრეთვე სასურსათო უსაფრთხოების საკითხები და მისი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.</td></tr>
<tr><td colspan="5">შუალედური შედეგები:<br>გამოვლენილია სასურსათო უსაფრთხოების საინვესტიციო უზრუნველყოფის მნიშვნელობა და მომგებიანობა.</td></tr>
<tr><td>6</td><td>სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემების გავლენა ტურიზმის განვითარებაზე (გასტრონომიული და აგროტურიზმის მაგალითზე)</td><td>ეკონომიკა</td><td>01.01.2025-31.12.2025</td><td>ქველაძე ქეთევან – შემსრულებელი</td></tr>
</table>

ანოტაცია:

ნაშრომი შეეხება ქვეყნისათვის ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიცაა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემების გავლენა ტურიზმის განვითარებაზე, განსაკუთრებული აქცენტით გასტრონომიულ და აგროტურიზმის სფეროებზე საქართველოში. ნაშრომში განხილულია ძირითადი რისკ-ფაქტორები (ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკური, ინფრასტრუქტურული და რეგულაციური) და მათი გავლენა ეკონომიკურ შედეგებზე. აღნიშნულია, რომ სასურსათო რისკები, კვების ჰიგიენის დარღვევები, არასაკმარისი კონტროლი, მომწოდებელთა დაბალი ცნობიერება და ინფრასტრუქტურული დარღვევები უარყოფითად აისახება ტურისტული მომსახურების ხარისხზე, რაც ზიანს აყენებს ქვეყნის იმიჯს, ტურისტების ნდობას, საზოგადოების ჯანმრთელობას. ასევე ამცირებს მოთხოვნას ადგილობრივ კულინარიულ და აგრო-საგანმანათლებლო ტურისტულ პროდუქტებზე, ყოველივე ეს უარყოფითად აისახება ტურიზმის განვითარებაზე. დეტალური ანალიზის საფუძველზე ნაშრომი ასახავს საქართველოს სპეციფიკურ გამოწვევებს — მათ შორის მცირე ოჯახურ ფერმებსა და სწრაფად მზარდ გასტრონომიულ ინდუსტრიაში არსებულ პრობლემებს. საბოლოოდ, წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც ემყარება საერთაშორისო პრაქტიკას და მიზნად ისახავს საქართველოს ტურიზმის სექტორში სასურსათო უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესებას, აგროტურიზმისა და გასტრონომიული ტურიზმის უსაფრთხო და ეკონომიკურად ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობას.

**საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**

შესწავლილია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემების გავლენა ტურიზმის განვითარებაზე. განხილულია ძირითადი რისკ-ფაქტორები და მათი გავლენა ეკონომიკურ შედეგებზე.

**შუალედური შედეგები:**

შემოთავაზებულია საერთაშორისო პრაქტიკაზე დამყარებული რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოში ტურიზმის ტურიზმის სექტორში სასურსათო უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესებას, აგროტურიზმისა და გასტრონომიული ტურიზმის უსაფრთხო და ეკონომიკურად ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობას.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 | იმპორტის როლი სასურსათო უზრუნველყოფაში | ეკონომიკა | 01.01.2025-31.12.2025 | **ბრეგვაძე გიორგი –** შემსრულებელი |

ანოტაცია:

ნაშრომში განხილულია საქართველოში იმპორტის როლი სასურსათო უზრუნველყოფაში. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე განხილულია არსებული მდგომარეობა და გაანალიზებულია ის პრობლემები, რომლებიც დგას სურსათით ქვეყნის უზრუნველყოფის საქმეში.

**საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**

გაანალიზებულია იმპორტის როლი სასურსათო უზრუნველყოფაში.

**შუალედური შედეგები:**

საქართველოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, გამოვლენილია ის პრობლემები, რომლებიც დგას ქვეყნის წინაშე სურსათის უზრუნველყოფაში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8 | სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანა და გაშენება ინოვაციების დანერგვის გზით | ეკონომიკა | 01.01.2025-31.12.2025 | **ქორჟიკაშვილი ნინო –** შემსრულებელი |

ანოტაცია:

სასოფლო-სამეურნეო კულტურები წარმოადგენს ადამიანთა კვებისა და ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს. მათგან მიიღება საკვები პროდუქტები, ნედლეული ინდუსტრიული წარმოებისთვის, საკვები პირუტყვისთვის და სხვა აუცილებელი რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. მსოფლიოს მოსახლეობის ზრდასა და კლიმატის ცვლილებების პირობებში აგრარული სექტორის როლი უფრო და უფრო იზრდება. სასოფლო-სამეურნეო სექტორი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიმართულებაა. გლობალური კლიმატური ცვლილებები, მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებული მოთხოვნის ზრდა, ნიადაგის დეფიციტი და სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებები საჭიროებს თანამედროვე მიდგომებს სოფლის მეურნეობაში. გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ახალი, მაღალპროდუქტიული და გარემო ფაქტორებისადმი გამძლე ჯიშების გამოყვანა. ინოვაციური ტექნოლოგიების ინტეგრირება ამ პროცესში ქმნის შესაძლებლობას, მივიღოთ კულტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიკურად ეფექტურ პროდუქციას.

**საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**

შესწავლილია ინოვაციური ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების

<table>
<tr><td colspan="5">ახალი ჯიშების გამოყვანის პროცესში.</td></tr>
<tr><td colspan="5">შუალედური შედეგები:<br>შემოთავაზებულია ინოვაციური ტექნოლოგიების ინტეგრირების პროცესი ისეთი კულტურების მისაღებად, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიკურად ეფექტურ პროდუქციას.</td></tr>
<tr><td>9</td><td>საქართველოს საგარეო ვაჭრობის როლი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში</td><td>ეკონომიკა</td><td>01.01.2025-<br>31.12.2025</td><td>ჯავახიშვილი რევაზ – პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია:<br>როგორც მსოფლიო მასშტაბით, ისე მისი ცალკეული ქვეყნების მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ნაშრომში, სასურსათო უსაფრთხოების თეორიულ-მეთოდოლოგიურ ასპექტებთან ერთად, გაშუქებულია მისი მიღწევის საშინაო და საგარეო ფაქტორები, რომელთაგან მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება საგარეო ვაჭრობას, კერძოდ, სურსათის ექსპორტსა და იმპორტს. ნაშრომში, სათანადო ლიტერატურული წყაროებისა და სტატისტიკური მასალის დამუშავების საფუძველზე, გაანალიზებულია საქართველოს სურსათით საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის დინამიკა და სტრუქტურა, მისი დივერსიფიკაციის ძირითადი მიმართულებები, გამოვლენილია სურსათით საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის განვითარების ძირითადი ტენდენციები და ნაჩვენებია მისი ადგილი და როლი ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში. მასში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული სურსათის საგარეო და საშინაო ბაზრის ფუნქციონირებისა და დაცვის მექანიზმების სრულყოფის, ამ საქმეში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის, სათანადო ეკონომიკური და სამართლებრივი ბერკეტების დროული ამოქმედების აუცილებლობაზე, რამაც დიდი როლი უნდა შეასრულოს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.</td></tr>
<tr><td colspan="5">საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:<br>განხილულია უსაფრთხოების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები. გაანალიზებულია საქართველოს სურსათით საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის დინამიკა და სტრუქტურა, მისი დივერსიფიკაციის ძირითადი მიმართულებები.</td></tr>
<tr><td colspan="5">შუალედური შედეგები:<br>გამოვლენილია სურსათით საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის განვითარების ძირითადი ტენდენციები და ნაჩვენებია მისი ადგილი და როლი ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში.</td></tr>
<tr><td>10</td><td>სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის გამოცდილება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში</td><td>ეკონომიკა</td><td>01.01.2025-<br>31.12.2025</td><td>ხუსკივაძე მამუკა – პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია:<br>კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციისა და საერთაშორისო ინტეგრაციის შეუქცევადი პროცესების პირობებში სასურსათო უზრუნველყოფა სულ უფრო მეტად ხდება ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი გამორჩეული პრიორიტეტი და წარმოადგენს ეროვნული ინტერესებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან დეტერმინანტს. სხვადასხვა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების სისტემა განსხვავებული და უნიკალურია მასზე ზემოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამეცნიერო-მეთოდიკური და პრაქტიკული უზრუნველყოფის მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება წამყვანი ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების შესწავლას, კლასიფიცირებას და ახალი ხედვების ჩამოყალიბებას. ამ თვალსაზრისით აშშ-ის და იაპონიის სასურსათო უზრუნველყოფის სფეროში დაგროვებული გამოცდილების გაანალიზება მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამ ქვეყნებს გააჩნიათ მდგრადი, ეფექტიანი და მრავალმხრივი სასურსათო უსაფრთხოების სისტემები.<br>ნაშრომში გაანალიზებულია და შეფასებულია აშშ-ის და იაპონიის სასურსათო უსაფრთხოების სისტემები ისეთი კრიტერიუმების საფუძველზე, როგორიცაა: სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუმენტები, საგარეო სავაჭრო პოლიტიკა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და სასურსათო პროდუქციასთან მიმართებაში, სახელმწიფო პოლიტიკა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სფეროებში, სახელმწიფო პოლიტიკა სასურსათო უზრუნველყოფაში. კვლევის შედეგად</td></tr>
</table>

გამოვლინდა, რომ აშშ-ის სასურსათო უსაფრთხოების სისტემა ძირითადად ეფუძნება მასშტაბურ აგრარულ წარმოებას, მეცნიერებატევადი ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებას სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში, მაღალი კვალიფიკაციის შრომით რესურსებს, სასოფლო-სამეურნეო ნედელულის იმპორტს და მზა, მაღალი ხარისხის პროდუქციის ექსპორტს, სოფლის მეურნეობაში მონოკულტურის მეთოდის გამოყენებას და ფართო სოციალური დახმარების პროგრამებს. იაპონიის სასურსათო უსაფრთხოების მოდელისათვის არსებითია: მოწინავე ინოვაციური ტექნოლოგიების ფართო გამოყენება, მცირე ფერმერულ მეურნეობებზე აქცენტირება, მიწის რესურსების რაციონალური და ოპტიმალური გამოყენება, იმპორტის დივერსიფიცირება და მასზე დამოკიდებულების შემცირება, პროდუქციის ხარისხის მაღალი სტანდარტები და მისი კონტროლი, ეფექტიანი საგრანტო სისტემა სოფლის მეურნეობის სფეროში შრომითი რესურსების მოზიდვის მიზნით, ფერმერების საგანმანათლებლო დონის გაუმჯობესება სატრენინგო სისტემის გამოყენებით. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების სისტემა განვითარების მაღალ დონეზეა, კვლევის შედეგად დადგინდა ობიექტური და სუბიექტური ხასიათის გამოწვევები. კერძოდ, აშშ-ში ასეთ გამოწვევებად გამოიკვეთა: კლიმატის ცვლილება, სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა ( ბოლო წლებში, ასევე, შეიმჩნევა სასურსათო უზრუნველყოფის მაჩვენებლებში რასობრივი განსხვავება), სოფლებში დემოგრაფიული პრობლემები. იაპონიაში გამოწვევებს წარმოადგენს: ბუნებრივი კატასტროფებისა და კატაკლიზმების მაღალი რისკი, დემოგრაფიული პრობლემები, რაც გამოიხატება მოსახლეობის დაბერების ტენდენციაში და მიწის რესურსების სიმწირე.

**საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**
შესწავლილია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის გამოცდილება ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ და იაპონია.

**შუალედური შედეგები:**
გამოვლენილია თუ რაზეა დაფუძნებული აშშ-სა და იაპონიის სასურსათო უსაფრთხოების სისტემა და როგორ შეიძლება მათი წარმატებული პრაქტიკის გამოყენება საქართველოში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11 | საქართველოს საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისა და მასთან დაკავშირებული სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები | ეკონომიკა | 01.01.2025-31.12.2025 | **ქისტაური ნუნუ–** შემსრულებელი |

**ანოტაცია:**
ნაშრომი ეხება საქართველოს საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ტენდენციებს და მასთან დაკავშირებულ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებს. განხილულია 2019-2024 წლების განმავლობაში ტურიზმის ზრდის დინამიკა, მისი ეკონომიკური მნიშვნელობა და გავლენა სურსათის მოთხოვნასა და მიწოდებაზე. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს ტურისტულ სექტორში არსებული გამოწვევები განსაკუთრებით სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებული ყურადღებაა დათმობილი სახელმწიფო პოლიტიკის როლისადმი ტურიზმისა და აგროსასურსათო სექტორის ურთიერთდამოკიდებული განვითარების უზრუნველყოფაში. ნაშრომში აგრეთვე გამოკვეთილია ძირითადი რისკები და შესაძლებლობები, რომლებიც ტურიზმის ზრდას უკავშირდება სასურსათო უსაფრთხოების კუთხით.

**საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**
შესწავლილია საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციები და თავისებურებები.

**შუალედური შედეგები:**
გამოკვეთილია ტურიზმში სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 | სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევროკავშირში | ეკონომიკა | 01.01.2025-31.12.2025 | **თოთლაძე ლია –** შემსრულებელი |

**ანოტაცია:**
ნაშრომში განხილულია ევროკავშირში სასურსათო უსაფრთხოების (EU Food Safety) პრიორიტეტული საკითხები, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან, ეკონომიკურ სტაბილურობასთან და გარემოს დაცვასთან. ევროკავშირი უზრუნველყოფს უსაფრთხო და ხარისხიანი სურსათის მიწოდებას "მინდვრიდან მაგიდამდე" (farm to

fork), მკაცრი რეგულაციებისა და სამეცნიერო პოლიტიკის საფუძველზე. კვლევაში ყურადღება გამახვილებულია სასურსათო უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი რგოლის - ევროპის სურსათის უვნებლობის სააგენტოს (EFSA) ფუნქციონირების პრიორიტეტებზე, და ასევე განხილულია სწრაფი შეტყობინების სისტემის (RASFF, რომელიც რისკის შემცველ პროდუქტებზე აფრთხილებს წევრ ქვეყნებს), ფუნქციონირების მექანიზმი. უახლესი ანგარიშები მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სურსათის უვნებლობის საერთო დონე მაღალია (პესტიციდების დონე 96%-ში უსაფრთხოა), სისტემა მუდმივად ებრძვის ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა სალმონელოზი, მიკროტოქსინები და სხვადასხვა სახის ქიმიკატები. სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელობა სცილდება უშუალო ჯანმრთელობის რისკებს, რადგან ის პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, გლობალურ ვაჭრობასა და აგრარულ სექტორზე.

განხორციელებული კვლევის შედეგების მიხედვით ვლინდება რომ ევროკავშირის სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა მკაცრ და სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას იყენებს, რათა უზრუნველყოს როგორც მომხმარებელთა ჯანმრთელობა, ისე ეკონომიკური მდგრადობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომავალში, EU-ს პოლიტიკა, ფოკუსირებული იქნება მდგრადობის გაუმჯობესებაზე, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შემცირებაზე, ნარჩენების შემცირებაზე (50%-ით 2030 წლისთვის) და ინოვაციური ტექნოლოგიების, მათ შორის ბლოკჩეინის, დანერგვაზე ტრანსპარენტულობის გასაზრდელად. აღსანიშნავია აგრეთვე, ამჟამინდელი ძირითადი გამოწვევები, რომელიც მოიცავს ანტიბიოტიკების რეზისტენტობას, მიკროპლასტიკებთან და გენმოდიფიცირებულ (GMO) პროდუქტებთან დაკავშირებულ საკითხებს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სისტემა მუდმივად ვითარდება, გლობალური კლიმატური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური გამოწვევები მოითხოვს პოლიტიკის უწყვეტ ადაპტაციას და სტანდარტების გამკაცრებას.

**საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**
შესწავლილია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები ევროკავშირში.

**შუალედური შედეგები:**
გამოვლენილია ის ძირითადი მიგნებები, რომელსაც იყენებს ევროკავშირი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13 | სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები მსოფლიოში და მისი გავლენა საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებაზე | ეკონომიკა | 01.01.2025-31.12.2025 | **ბერიშვილი ხათუნა** – შემსრულებელი |

**ანოტაცია:**

სასურსათო უსაფრთხოება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევას წარმოადგენს. გლობალიზაციის, კლიმატური ცვლილებების, გეოპოლიტიკური კონფლიქტების, პანდემიებისა და ეკონომიკური კრიზისების ფონზე, სასურსათო სისტემები სულ უფრო მეტად განიცდიან ზეწოლას.

აღნიშნული სტატია მიზნად ისახავს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების კომპლექსურ ანალიზს გლობალურ დონეზე და ამ პროცესების გავლენის შეფასებას საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებაზე. ნაშრომში განხილულია სასურსათო უსაფრთხოების ცნება, მისი ძირითადი კომპონენტები, მსოფლიო ტენდენციები, ძირითადი საფრთხეები და საქართველოს სპეციფიკური მდგომარეობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმპორტზე დამოკიდებულებას, აგრარული სექტორის სტრუქტურულ პრობლემებსა და სახელმწიფო პოლიტიკის როლს. დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერებას.

**საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**
შესწავლილია სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები გლობალურ დონეზე, ძირითადი საფრთხეები და საქართველოს სპეციფიკური მდგომარეობა.

**შუალედური შედეგები:**
შემუშავებულია რეკომენდაციები, რომლებიც გააუმჯობესებენ სასურსათო უფასრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს საქართველოში.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14 | მოსახლეობის სურსათზე ეკონომიკური მისაწვდომლობის დონე | ეკონომიკა | 01.01.2025-31.12.2025 | **დვალიშვილი ლია** – შემსრულებელი |

**ანოტაცია:**

ნაშრომი ვრცლად ეხება ქვეყნისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ

<table>
<tr><td colspan="5">საკითხს - მოსახლეობის სურსათზე ეკონომიკურ მისაწვდომლობას. თანამედროვე ეტაპზე არსებული გამოწვევების ფონზე აღნიშნული თემის მნიშვნელობასა და აქტუალობას როგორც გლობალურად, ისე ლოკალურად, ინფლაციის, ეკონომიკური კრიზისებისა და სიღარიბის გათვალისწინებით.<br>გამოკვეთილია სურსათზე ეკონომიკური მისაწვდომლობის პირდაპირი კავშირი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხთან, ჯანმრთელობასთან და ეროვნულ უსაფრთხოებასთან.<br>განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასურსათო უსაფრთხოების ოთხ განზომილებას ( ხელმისაწვდომობა, გამოყენება, სტაბილურობა და ეკონომიკური მისაწვდომლობა), ეკონომიკური მისაწვდომლობის ინდიკატორებსა და მასზე მოქმედ ძირითად ფაქტორებს.<br>ნაშრომში განხილულია სოციალური უთანასწორობა და სოციალური კეთილდღეობის დონეები დაბალ და მაღალშემოსავლიან შინამეურნეობებში, ასევე, ეკონომიკური მისაწვდომლობის შედეგები და გავლენები ქვეყნის მასშტაბით.<br>ბოლოს, წარმოდგენილია სხვადასხვა გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები მოსახლეობის სურსათზე ეკონომიკური მისაწვდომლობის დონის ასამაღლებლად.</td></tr>
<tr><td colspan="5">საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:<br>განხილულია მოსახლეობის სურსათზე ეკონომიკურ მისაწვდომლობის საკითხები. გაანალიზებულია სოციალური უთანასწორობისა და სოციალური კეთილდღეობის დონეები შინამეურნეობებში და ეკონომიკური მისაწვდომლობის შესაძლებლობები.</td></tr>
<tr><td colspan="5">შუალედური შედეგები:<br>შემუშავებულია რეკომენდაციები მოსახლეობის სურსათზე ეკონომიკური მისაწვდომლობის დონის ასამაღლებლად.</td></tr>
<tr><td>15</td><td>ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკაში ჩვენი დროის ორ მთავარ საკითხზე: ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება და ორგანიზაციის (ფირმის) ეკონომიკური უსაფრთხოება</td><td>ეკონომიკა</td><td>01.01.2025-31.12.2025</td><td>დავლაშერიძე ნატა – შემსრულებელი</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია:<br>ნაშრომში წარმოდგენილია ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატების თეორიული მემკვიდრეობის ანალიზი და მისი პრაქტიკული გამოყენება ჩვენი დროის ორი ურთიერთდაკავშირებული პრობლემის გადასაჭრელად: ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება და ორგანიზაციის ეკონომიკური უსაფრთხოება. კლიმატის ცვლილებით, გეოპოლიტიკური კონფლიქტებითა და პანდემიური შოკებით გამწვავებული გლობალური არასტაბილურობის კონტექსტში, ეს გამოწვევები კრიტიკული ხდება მდგრადი განვითარებისთვის, განსაკუთრებით ისეთი მცირე, ღია ეკონომიკისთვის, როგორიც საქართველოა. კვლევა თანმიმდევრულად განიხილავს ნობელის პრემიის ლაურეატ ძირითად ეკონომიკურ თეორიებს, რაც აჩვენებს მათ შესაბამისობას და გამოყენებადობას საქართველოს კონტექსტში. სტატიაში გაანალიზებულია ინფორმაციული ასიმეტრიის თეორია (ჯ. აკერლოფი, მ. სპენსი, ჯ. სტიგლიცი), რომელიც ხსნის სასოფლო-სამეურნეო ბაზრების არაეფექტურობას და ფერმერების მიერ ფინანსებზე წვდომის სირთულეებს; საერთო რესურსების მართვის თეორია (ე. ოსტრომი), რომელიც გვთავაზობს კოლექტიური მოქმედების მდგრადი სისტემების შექმნის მოდელებს; კონტრაქტების თეორია (ო. ჰარტი, ბ. ჰოლმსტრომი), რომელიც ხელს უწყობს სამართლიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების შემუშავებას; ქცევითი ეკონომიკა (რ. თალერი, დ. კანემანი), რომელიც საშუალებას იძლევა უფრო ეფექტური სამთავრობო პროგრამების შემუშავების; და მდგრადი ეკონომიკის კონცეფცია, რომელიც აერთიანებს ა. სენის, ვ. ნორდჰაუსის და ე. დიუფლოს იდეებს. საქართველოსთვის, როგორც სურსათის იმპორტზე მაღალი დამოკიდებულების მქონე ქვეყნისთვის და მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელოვანი სექტორისთვის, ამ თეორიების გამოყენება განსაკუთრებით აქტუალურია.</td></tr>
<tr><td colspan="5">საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:<br>შესწავლილია ეკონომიკაში ნობელსის პრემიის ლაურეატების ნაშრომებში ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და ორგანიზაციის ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრის საკითხები.</td></tr>
<tr><td colspan="5">შუალედური შედეგები:<br>გამოკვეთილია ის თეორიული მიდგომები, რომელთა გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.</td></tr>
<tr><td>16</td><td>საქართველოს მიწის როლი სასურსათო უსაფრთხოების</td><td>ეკონომიკა</td><td>01.01.2025-31.12.2025</td><td>თეთრაული ციცინო – შემსრულებელი</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td>უზრუნველყოფაში</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია:<br>ნაშრომში განხილულია მიწის, როგორც უნიკალური ბუნებრივი რესურსების როლი და მნიშვნელობა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, დახასიათებული საქართველოს ნიადაგის ტიპები და მისი თავისებურებები. გაშუქებულია იმ პრევენციული ღონისძიებების გატარების აუცილებლობა, რომელიც დაიცავს საქართველოს ნიადაგების გამოფიტვის, ეროზიისა და დეგრადაციისგან.<br>განხილულია უცხოეთის გამოცდილება აგრარულ სფეროში როგორიცაა ისრაელის "კიბუცების" ფენომენი, რომლის წყალობითაც ნახევრად უდაბნოს მიწა თითქმის წალკოტად გადაიქცა). თურქეთის გამოცდილება ბიოპროდუქტების წარმოებაში და ა.შ. საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანა გაანალიზებულია ჩვენი ქვეყნის თითქმის მთლიანად ხორბლის იმპორტზე დამოკიდებულების საკითხები, ხორბლის ნათესების გაზრდის აუცილებლობა და სხვა სათანადო ღონისძიებების გატარება სასურსათო უსაფრთხოების მიზნით. საქართველოს აქვს იმის პოტენციალი რომ გახდეს ბიოპროდუქტების მწარმოებელი ქვეყანა რომელთა ფასიც მსოფლიო ბაზარზე საგრძნობლად იზრდება.</td></tr>
<tr><td colspan="5">საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:<br>შესწავლილია მიწის, როგორც უნიკალური ბუნებრივი რესურსის როლი და მნიშვნელობა. გაშუქებულია საქართველოს ნიადაგის ტიპები და მათი თავისებურებები. გაანალიზებულია უცხოური გამოცდილება აგრარულ სფეროში.</td></tr>
<tr><td colspan="5">შუალედური შედეგები:<br>გამოვლენილია საქართველოს მიწის პოტენციალი და მისი ოპტიმალური გამოყენების ღონისძიებები.</td></tr>
<tr><td>17</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტში სასოფლო-სამეურნეო ასიგნებები და მისი როლი სასურსათო უსაფრთხოეის უზუნველყოფაში</td><td>ეკონომიკა</td><td>01.01.2025-31.12.2025</td><td>მელაშვილი მედეა – შემსრულებელი</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია:<br>მოცემული ნაშრომი განიხილავს სასურსათო უსაფრთხოების არსს, მის გლობალურ განვითარებას, თანამედროვე გამოწვევებს და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასოფლო-სამეურნეო ასიგნებათა როლს ქვეყნის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის კონტექსტში. ნაშრომში წარმოდგენილია სასურსათო უსაფრთხოების ევოლუცია 1970-იანი წლებიდან დღემდე, განხილულია FAO-ს, WHO-ს, IFAD-ისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომები, ასევე საქართველოსთვის მნიშვნელოვანი რაოდენობრივი, ხარისხობრივი და სოციალური ასპექტები.<br>განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობაზე გამოყოფილი ასიგნებების დინამიკას 2019–2024 წლებში, მათი ზრდის ტენდენციებს, მთავარ პროგრამებს („აგროკრედიტი“, „დანერგე მომავალი“, მელიორაცია, ინოვაციური მეურნეობის მხარდაჭერა და სხვ.) და თითოეულის გავლენას ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაზე.<br>ნაშრომში მითითებულია, რომ სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცება შეუძლებელია აგრარული სექტორის დაფინანსებისა და ინოვაციური განვითარების გარეშე, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში მიზნობრივად და სტრატეგიულად განაწილებული ასიგნებები წარმოადგენს საქართველოს სასურსათო სტაბილურობის მიღწევის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას.</td></tr>
<tr><td colspan="5">საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:<br>განხილულია სასურსათო უსაფრთხოების საკითხები, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასოფლო-სამეურნეო ასიგნებების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის კუთხით.</td></tr>
<tr><td colspan="5">შუალედური შედეგები:<br>ჩამოყალიბებულია ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები სასურსათო უსაფრთხოების ოპტიმიზაციის მიზნით. ს</td></tr>
<tr><td>18</td><td>საქართველოში წყლის რესურსების როლი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში</td><td>ეკონომიკა</td><td>01.01.2025-31.12.2025</td><td>ნოზაძე ზურაბ – შემსრულებელი</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია:<br>გაანალიზებულია წყლის რესურსების როლისა და მნიშვნელობაზე სურსათის გამოყენებაზე და მის</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="5">უსაფრთხოებაზე, სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარ ბუნებრივ რესურსზე.<br>მოცემულია წყლის რესურსების ხელახალი გამოყენების უდიდესი როლის შესახებ წყლის დეფიციტის პრობლემის გადასაჭრელად და ამავდროულად სურსათის უვნებლობის გაძლიერების მიზნით. გაანალიზებულია მოწინავე გამწმენდი პროცესები და დამუშავების სისტემებში, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ მაღალი ხარისხის აღდგენილი წყალი, რომელიც შესაფერისია მორწყვისათვის და ასევე ხელს უწყობს გარემოსდაცვით მდგრადობას დაბინძურების შემცირებით და ბუნებრივი რესურსების დაზოგვით.<br>გაანალიზებულია გლობალიზაციის პირობებში და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ბუნებრივი კატაკლიზმები, რომლებიც პირველ რიგში ეხება წყლის რესურსებს და მნიშვნელოვან მის როლს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტაში.<br>მოცემულია კონკრეტულ წინადადებებში და ღონისძიებებში, რომელიც ეხება წყლის რესურსების რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებას, რაც საშუალებას მოგცემს დადებითად გადავჭრათ სასურსათო პრობლემები და ავამაღლოთ ადამიანთა ცხოვრების დონე, უსაფრთხოება.</td></tr>
<tr><td colspan="5">საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:<br>შესწავლილია წყლის რესურსების როლი, მნიშვნელობა და პოტენციალი სურსათის გამოყენებისათვის.</td></tr>
<tr><td colspan="5">შუალედური შედეგები:<br>ჩამოყალიბებულია წინადადებები, რომელიც ეხება წყლის რესურსების რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებას.</td></tr>
<tr><td></td><td>პრობლემა 2. ორგანიზაციის (ფირმის) ეკონომიკური უსაფრთხოება საქართველოში</td><td>ეკონომიკა</td><td>01.01.2025-31.12.2025</td><td></td></tr>
<tr><td>1</td><td>საქართველოს სასოფლო რაიონებში არასასოფლო-სამეურნეო ფირმების ინოვაციური საქმიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები</td><td></td><td></td><td>ბერულავა გიორგი – პროექტის თანახელმძღვანელი, შემსრულებელი</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია:<br>სოფლის არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის (RNFE) წახალისება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სოფლის მდგრადი განვითარებისთვის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ეს ნაშრომი იკვლევს ინოვაციური აქტივობისა და ბიზნესის გაფართოების განმსაზღვრელ ფაქტორებს არასასოფლო-სამეურნეო ფირმებში სოფლის მეურნეობაში საქართველოში. კვლევა ეფუძვნება მონაცემთა ბაზას რომელიც მოიცავს საქართველოს რვა მუნიციპალიტეტის 818 არა-ფერმერულ საწარმოს. წრფივი და ლოგისტიკური რეგრესიის მოდელების გამოყენებით, ნაშრომში შესწავლილია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პროდუქტიულობაზე, დასაქმების და კაპიტალის ზრდაზე და გაფართოების გეგმებზე. კვლევის შედეგები ხაზს უსვამს სამეწარმეო ადამიანური კაპიტალის (განათლება, ტრენინგი, ღირებულებები), ფირმის რესურსების (ფინანსებზე წვდომა, ფიზიკური აქტივები) და გარე გარემოს (სახელმწიფო მხარდაჭერა, ადგილობრივი ბიზნეს კლიმატი) კრიტიკულ როლს არა-ფერმერულ საწარმოების განვითარებაში. კვლევის შედეგები უზრუნველყოფს ემპირიულ საფუძველს საქართველოს სოფლის არასასოფლო-სამეურნეო სექტორში ინოვაციებისა და ზრდის სტიმულირების მიზნით მიზნობრივი პოლიტიკის შემუშავებისთვის.</td></tr>
<tr><td colspan="5">საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:<br>შესწავლილია ინოვაციური აქტივობისა და ბიზნესის გაფართოების განმსაზღვრელი ფაქტორები არასასოფლო-სამეურნეო ფირმებში სოფლის მეურნეობაში საქართველოში.</td></tr>
<tr><td colspan="5">შუალედური შედეგები:<br>ჩამოყალიბებულია ის რეკომენდაციები, რომლებიც უზრუნველყოფს ემპირიულ საფუძველს საქართველოს სოფლის არასასოფლო-სამეურნეო სექტორში ინოვაციებისა და ზრდის სტიმულირების მიზნით მიზნობრივი პოლიტიკის შემუშავებისთვის.</td></tr>
<tr><td>2</td><td>ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოება და „ტექნოლოგიური მახის“ დაძლევის ძირითადი გზები</td><td>ეკონომიკა</td><td>01.01.2025-31.12.2025</td><td>პაპავა ვლადიმერ – პროექტის სამეცნიერო კონსულტანტი, შემსრულებელი</td></tr>
</table>

**ანოტაცია:**

ნაშრომში გამოკვლეულია ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების არსი, ძირითადი საფრთხეების სახეობები და მათთან დაკავშირებული რისკები. ნაჩვენებია, რომ ფირმის წინაშე მდგარი ეკონომიკური საფრთხეებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული არის „ტექნოლოგიურ მახეში“ მოხვედრა, როცა ფირმების მიერ ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის მიუხედავად, ისინი არ რისკავენ და უპირატესობას მოძველებულ ტექნოლოგიების გამოყენებას ანიჭებენ. გაანალიზებულია „ტექნოლოგიურ მახეში“ ყოფნის ხელშემწყობი ძირითადი პირობები. დასაბუთებულია, რომ ფირმის „ტექნოლოგიურ მახეში“ ყოფნა არის რეტროეკონომიკის, როგორც ასეთის, ხელშემწყობი. ეს უკანასკნელი კი გლობალური პრობლემაა და არა მარტო განვითარებადი, არამედ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვისაცაა დამახასიათებელი. ნაჩვენებია ის აუცილებელი პირობები, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნება „ტექნოლოგიური მახედან“ თავის დაძლევა, ანუ „ტექნოლოგიურ ნახტომის“ განხორციელება.

**საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**

გამოკვლეულია ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების არსი, ძირითადი საფრთხეების სახეობები და მათთან დაკავშირებული რისკები. გაანალიზებულია „ტექნოლოგიურ მახეში“ ყოფნის ხელშემწყობი ძირითადი პირობები.

**შუალედური შედეგები:**

გამოვლენილია ის ძირითადი პირობები, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნება „ტექნოლოგიური მახედან“ თავის დაძლევა, ანუ „ტექნოლოგიურ ნახტომის“ განხორციელება.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3 | ინოვაციურ ბიზნესში კადრების დეფიციტისა და კვალიფიკაციის პრობლემები | ეკონომიკა | 01.01.2025-31.12.2025 | **წერეთელი ზურაბ–** შემსრულებელი |

**ანოტაცია:**

ნაშრომში წარმოდგენილია ინოვაციური საქმიანობის განხორციელების ძირითადი პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება ინოვაციური საქმიანობის განხორციელებისას თანამედროვე ბიზნესში. ასევე მოცემულია ინოვაციის, ინოვაციური საქმიანობის, ტექნოლოგიური ინოვაციისა და ინოვაციური ბიზნესის ცნებები. ჩამოთვლილია ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის ინოვაციური საქმიანობის რეალიზაციას ინოვაციურ ბიზნესში. მასში ასახულია ინოვაციურ ბიზნესში პერსონალის(კადრების) დეფიციტისა და კვალიფიკაციის პრობლემები, ასევე პერსონალის მომზადების სისტემის გაუმჯობესების გზები.

**საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**

შესწავლილია ინოვაციური საქმიანობის განხორციელების ძირითადი პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება ინოვაციური საქმიანობის განხორციელებისას თანამედროვე ბიზნესში.

**შუალედური შედეგები:**

გამოვლენილია ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც არსებობს ინოვაციურ ბიზნესში და ჩამოყალიბებულია მათი გაუმჯობესების გზები.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების პრობლემები საქართველოში | ეკონომიკა | 01.01.2025-31.12.2025 | **გოგოხია თეიმურაზ –** შემსრულებელი |

**ანოტაცია:**

სტატიაში განსაზღვრულია ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების არსი და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავების საფუძველზე მისი უზრუნველყოფის მნიშვნელობა.

წარმოდგენილია ფირმის ეკონომიკური საქმიანობის გარე და შიდა საფრთხეები და რისკფაქტორები, ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებები.

განხილულია ინსტიტუციური და სამართლებრივი გარემოს გავლენა ფირმის ფუნქციონირებაზე მისი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ჭრილში.

გაანალიზებულია ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი პრობლემები საქართველოს ბიზნესგარემოში.

საქართველოში ფირმების ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული მართვის გასაუმჯობესებლად შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

**საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**

განხილულია ინსტიტუციური და სამართლებრივი გარემოს გავლენა ფირმის ფუნქციონირებაზე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მისი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ჭრილში.<br>გაანალიზებულია ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი პრობლემები საქართველოს ბიზნესგარემოში. | | | | |
| **შუალედური შედეგები:**<br>შემუშავებულია რეკომენდაციები საქართველოში ფირმების ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული მართვის გასაუმჯობესებლად. | | | | |
| 5 | ბიზნესის განვითარების საგარეო ფაქტორები | ეკონომიკა | 01.01.2025-31.12.2025 | ცუცქირიძე მარინე – შემსრულებელი |
| **ანოტაცია:**<br>თანამედროვე საბაზრო გარდაქმნების პროცესში ბიზნესის განვითარებაზე აქტიურად მოქმედ და აუცილებელს წარმოადგენს საგარეო ფაქტორები, რომელთა საფუძველზე წარმოიქმნება ინოვაციური პოლიტიკის გატარებისა და ბიზნესის ინოვაციური სტრატეგიის განსახორციელებელი წინაპირობები. ამასთან ურთიერთშესაბამისად შესაძლებელია რეგულირებადი საბაზრო ურთიერთობების გზით ბიზნესის სისტემების საბაზრო საქმიანობის რაციონალურად წარმართვა და საგარეო ფაქტორების როლის ამაღლებით მისი ინოვაციურობის მიღწევა, რომელიც საჭიროა ბიზნესის ინტეგრაციული ურთიერთკავშირების დასამყარებლად. | | | | |
| **საანგარიშო წელს შესრულებული ამოცანები/სამუშაოები:**<br>შესწავლილია ფაქტორები, რომლებიც აქტიურად მოქმედებენ ბიზნესის განვითარებაზე. | | | | |
| **შუალედური შედეგები:**<br>გამოვლენილია ის საგარეო ფაქტორები, რომელთა საფუძველზე წარმოიქმნება ინოვაციური პოლიტიკის გატარებისა და ბიზნესის ინოვაციური სტრატეგიის განსახორციელებელი წინაპირობები. | | | | |

## II. სამეცნიერო საგრანტო პროექტები

### II.1. ეროვნული დაფინანსებით:

**II.1.ა. დასრულებული** პროექტი/პროექტები (იმ შემთხვევაში, თუ პროექტი/პროექტები დასრულდა საანგარიშო წელს)

| № | **პროექტის დასახელება** | **დამფინანსებელი** | **წამყვანი ორგანიზაცია** | **მონაწილე პერსონალის რაოდენობა** | **მონაწილენი ამ სტრუქტურიდან პროექტში როლის მითითებით** |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საქართველო - ევროკავშირის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების ევოლუცია და განმსაზღვრელი დეტერმინანტები საქართველოში | ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგრანტო პროექტი | ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 6 | ხათუნა ბერიშვილი (მონაწილე) |
| *ანოტაცია:*<br>წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოსა და ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი, დეტერმინანტები და წინააღმდეგობები. ანალიზის პროცესში შესწავლილია საქართველოს და ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის თავისებურებები და მოდელები, ასოცირების შეთანხმების დაგეგმვის, კოორდინაციისა და მონიტორინგის მექანიზმი, ასოცირების შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტი (DCFTA), DCFTA თავისებურებები საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში, ქართული კომპანიების საექსპორტო დივერსიფიკაცია ევროკავშირის ბაზარზე, საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა და ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობები. ნაშრომში წარმოდგენილია საერთაშორისო ვაჭრობის კვლევის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდები, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების ანალიზის მოდიფიცირებული გრავიტაციული მოდელირება. | | | | | |
| 2 | ღირსეული სამუშაო | ივ.ჯავახიშვილის | ივ.ჯავახიშვილის | 5 | მალხაზ ჩიქობავა |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების შესაძლებლობები თანამედროვე მონეტარული თეორიის გარანტირებული დასაქმების (JG) კონცეფციის გათვალისწინებით | სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგრანტო პროექტი | სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | | ძირითადი შემსრულებელი (პროექტის ხელმძღვანელი); **ნაზირა კაკულია** (ძირითადი შემსრულებელი) **თეა ლაზარაშვილი** (ძირითადი შემსრულებელი); **გიორგი მოდებაძე** (დამხმარე პერსონალი); **სერგი ფიფია** (დამხმარე პერსონალი). |

*ანოტაცია:*

გაერთიანებლი ერების გლობალური შეთანხმების მე-8 მიზნის - „ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა“ - მიღწევა მდგრადი განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტია. ეკონომიკური ზრდის წახალისებისა და ღირსეული, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, თანამედროვე მონეტარული თეორია (MMT) გვთავაზობს გარანტირებული სამუშაო ადგილების შექმნას, სადაც ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი წამყვან როლს თამაშობს.

როგორც ცნობილია, 2008-2009 წლების გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა ეკონომიკური აქტივობა მკვეთრად შეაფერხა და ამის შედეგად, ქვეყნების უმრავლესობა მსხვილმასშტაბიან რეცესიაში აღმოჩნდა, რამაც დღის წესრიგში დააყენა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები უნდა იქნეს გამოყენებული შექმნილ სიტუაციაში. წინა პლანზე გამოვიდა საბიუჯეტო ექსპანსიის ღონისძიებები, რამაც შესაძლებელი გახადა რეალურ სექტორში შოკის მასშტაბების შერბილება და მოსახლეობისა და ბიზნესის შემოსავლების სწრაფი ვარდნის კომპენსირება.

დღეის მდგომარეობით მსოფლიო ეკონომიკაში ფისკალური მხარდაჭერის საერთო სიდიდემ 16 ტრლნ დოლარი შეადგინა. მასტიმულირებელი პაკეტების კონკრეტული პარამეტრები და სტრუქტურა განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით, მაგრამ შეიძლება ვამტკიცოდ, რომ მრავალ ეკონომიკაში საბიუჯეტო პასუხების ოდენობა კრიზისით გამოწვეული გლობალური სტაგნაციის მიმართ მრავალჯერ აჭარბებს ათწლეულის წინანდელი დიდი რეცესიის პერიოდის დისკრეციული ზომების სიდიდეს.

მასიურმა ფისკალურმა ექსპანსიამ დრამატულად გაზარდა ისედაც მზარდი სახელმწიფო ვალი. სავალუტო ფონდის ფისკალური პოლიტიკის ბოლო მონიტორინგში მთელი თავი ეთმობა საბიუჯეტო ხარჯების გაზრდილ დონეზე გრძელვადიანი შენარჩუნების მიზანშეწონილობის დასაბუთებას. ხაზგასმულია სახელმწიფო ინვესტიციების კრიტიკული როლი, რომლებიც წარმოდგენილია, როგორც სხვადასხვა დარგში სტრუქტურული ტრანსფორმაციის უზრუნველყოფისა და ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის ამაღლების ინსტრუმენტი. კერძოდ, აღნიშნულია საბიუჯეტო ინვესტირების პოტენციურად მაღალი მულტიპლიკატორული ეფექტები კვლევებსა და განვითარებაში, „მწვანე“ ეკონომიკის ახალ ტექნოლოგიებში, ჯანდაცვის სექტორების განვითარებაში, სატრანსპორტო და ციფრული ინფრასტრუქტურის გაფართოვებაში. სავარაუდოდ, ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტები თანდათან ცვლის თავის სტატუსს, გამოდის რა კონტრციკლური გადაუდებელი ღონისძიებების თანრიგიდან, რომელიც გამოიყენება მხოლოდ რთულ კრიზისულ სიტუაციებში და იქცევა ეკონომიკური განვითარების სისტემური სტიმულირების ფაქტორად უფრო გრძელვადიანი პერიოდისათვის. მრავალი ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკაში, მიმდინარე პირობებში, მდგრადი ექსპანსიური პოლიტიკისგან პოტენციური სარგებელი დომინირებს დეფიციტური დაფინანსებისა და სავალო ტვირთვის ზრდის პოტენციურ საშიშროებაზე. არსებული ვითარება დიდწილად ასახავს თანამედროვე მონეტარული თეორიის - MMT-ის (Modern Monetary Theory) ერთ-ერთ მთავარ პოსტულატს იმის შესახებ, რომ ბიუჯეტის დეფიციტი არ შეიძლება აპრიორულად განიხილებოდეს, როგორც ნეგატიური მოვლენა. ტექნიკურად ეს მხოლოდ ეკონომიკის კერძო სექტორის წმინდა ფინანსური დანაზოგების ზრდის მეორე მხარეა.

MMT-ის საკვანძო მახასიათებელია სუვერენული ვალუტის სპეციალური თეორიის ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ფულის სახელმწიფო (ქარტიულ) და საკრედიტო თეორიების, ასევე

ფუნქციონალური ფინანსების კონცეფციის სიმბიოზს. ეს კომბინაცია საშუალებას იძლევა განვაცალკევოთ MMT-ის მომხრეები („ნეოქარტიალისტები“) მომიჯნავე ჰეტეროდოქსული მიმართულების მკვლევარებისგან. MMT-ის ანალიზის ობიექტად გვევლინება მონეტარულად სუვერენული სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია ეროვნული ვალუტის გამოყენების შეუზღუდავი შესაძლებლობები დანახარჯების განსახორციელებლად ან დავალიანებების დასაფარავად ეროვნულ ვალუტაში და არ წარმოაგენს შინამეურნეობის ანალოგს თავისი ბიუჯეტის დაბალანსების აუცილებლობის გამო. ფინანსური შეზღუდულობის (დეფოლტის რისკის) ტექნიკურად არარსებობა ქმნის შესაძლებლობების კორიდორს საბიუჯეტო რესურსების გამოსაყენებლად მოთხოვნის მართვის მიზნით და ეკონომიკაში სრული დასაქმების მისაღწევად. MMT-ის თვალსაზრისით გადასახადები არ წარმოადგენს ხარჯების დაფინანსების საშუალებას. პირიქით, ხარჯების განხორციელება წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ საგადასახადო შემოსავლების შემდგომი მიღების აუცილებელ პირობას. საბიუჯეტო ბერკეტებით გამოშვებაზე, დასაქმებასა და შემოსავლებზე მთავრობის აქტიური გავლენის ერთადერთი მნიშვნელოვანი შემზღუდველი ფაქტორი მხოლოდ რეალური საწარმოო შესაძლებლობებია.

ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში რეკომენდაციების შემუშავების დროს უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს იდეოლოგია. მას საფუძვლად უდევს „ეკონომიკურ სამართლიანობაზე“ წარმოდგენები. MMT-ის მომხრეებს შორის არსებობს იშვიათი ერთსულოვნება: დიდი უმრავლესობა იცავს პოლიტიკური სპექტრის მარცხენა ფლანგის იდეებს - ისინი თავიანთი არსით ახლოს არიან ბრიტანული კემბრიჯის კეინზიანელობასთან და მარქსიზმთან. მოულოდნელად და ფულის ენდოგენურად შექმნასთან ნებისმიერი კავშირის გარეშე „გამოდის“, რომ კაპიტალისტური ეკონომიკა რესურსების არსებითი გამოუყენებლობისკენაა მიდრეკილი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მასში გამოშვება „ქრონიკულად დაბალია პოტენციურ დონესთან შედარებით“. ეს გამოიხატება მუდმივად არსებულ „იძულებით“ უმუშევრობაში, რაც გამოწვეულია ფირმების მხრიდან მუშაკების დაქირავების სურვილის არქონით პროდუქციის გაყიდვის სირთულეების გამო: უმუშევრობა იმაზე მეტი გამოდის, ვიდრე კეინზიანელობის ოქროს ხანაში“, ანუ, 2%-ზე ბევრად მეტი. მთლიანობაში, ინფლაცია საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებად საშიშ პრობლემად ითვლება, ვიდრე უმუშევრობა.

MMT-ის მომხრეების შეხედულებებიდან გამომდინარე ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, აგრეთვე იმ პრეფერენციებზე, რომლებიც ზემოთაა აღწერილი, შეიძლება გამოვყოთ „MMT-ის სულისკვეთების პოლიტიკის“ სამი კომპონენტი.

1. გარანტირებული დასაქმება.
2. მოქნილი გაცვლითი კურსი.
3. საპროცენტო განაკვეთების თარგეტირება.

MMT-ის თანახმად, სახელმწიფომ უპირატესად უნდა გამოიყენოს ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტები - გადასახადები და სახელმწიფო ხარჯები. MMT-ის თანახმად, ფისკალური ღონისძიებები მოქმედებს უფრო სწრაფად, ვიდრე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები. ხოლო რამდენადაც მიღებული ზომები დამოკიდებულია პოლიტიკურ კონიუნქტურაზე, უპირატესობა ენიჭება ჩაშენებულ სტაბილიზატორებს. MMT-ის მომხრეები მოგვიწოდებენ შევამციროთ დისკრეციული პოლიტიკის მოცულობა, რომლის ფარგლებში მთავრობა ღებულობს გადაწყვეტილებას, როდის და რა ინსტრუმენტები უნდა იქნეს გამოყენებული და გაფართოვდეს პოლიტიკის სფერო ადრე შემუშავებული წესების მიხედვით (rule-based policy). ეს ხელს შეუწყობს „პოლიტიკური ციკლების“, მთავრობის შედარებით მოსალოდნელი ქმედებებისა და დროითი ლაგების განუსაღვრელობების აღმოფხვრას, რომლებიც დამახასიათებელია დისკრეციული პოლიტიკისათვის. გარანტირებული დასაქმების პროგრამები (job guarantee, JG) ფართო გაგებით განეკუთვნება ავტომატური ფისკალური სტაბილიზატორების კლასს, რომლებიც დაფუძნებულია საბიუჯეტო წესებზე. ისინი ერთდროულად უზრუნველყოფენ GDP-ის პოტენციური დონის მიღწევას (როგორც ეს ესმით MMT-ს მიმდევრებს) და ახდენენ ინფლაციური საფრთხის ანულირებას.

ამგვარი პროგრამების ფარგლებში უმუშევრების დაქირავება ხდება სახელმწიფო სექტორის მიერ უფრო დაბალი ხელფასებით, რაც აღმოფხვრის უმუშევრობის პრობლემას და ხსნის ინფლაციურ ზეწოლას ავტომატური სტაბილიზატორის მექანიზმის მეშვეობით - პოლიტიკის გამკაცრების დროს ადამიანები უმუშევრები კი არ ხდებიან, არამედ უბრალოდ გადაადგილდებიან სახელმწიფო სექტორში და ღებულობენ ნაკლებს. NAIRU-ს ნაცვლად ძირითად მაჩვენებლად გვევლინება NAIBER („ბუფერული დასაქმება, რომელიც არ აჩქარებს ინფლაციას“). MMT-ის თანახმად, JG-ის გამოყენება საშუალებას იძლევა მოვახდინოთ სრული დასაქმების ინფლაციური პოტენციალის ანულირება.

მოქნილი კურსი აფართოვებს ოპერატიული მოქმედებისთვის სივრცეებს და აღმოფხვრის სახელმწიფოსათვის ფინანსურ შეზღუდვებს. იმავდროულად MMT უშვებს კურსის მართვას სავალუტო შეზღუდვების შესაძლო შემოღების პირობებში.

საპროცენტო განაკვეთების თარგეტირება შეიძლება ორნაირად გავიგოთ: (1) როგორც ფულადი

ბაზრის განაკვეთების მართვა ცენტრალური ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების დახმარებით, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკაში ყველა დანარჩენ განაკვეთებზე ზემოქმედებას (მიზნობრივი ინფლაციის მისაღწევად) და (2) როგორც ცენტრალური ბანკის საკვანძო განაკვეთის შენარჩუნება ფიქსირებულად დაბალ დონეზე ეკონომიკური აქტიურობების სტიმულირებისათვის და მთავრობის სავალო ტვირთის შესამსუბუქებლად.

მთლიანობაში MMT-ის რეკომენდაციები მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით თითქმის არ გადის 1940-1970 წლების დისკუსიების მემარცხენე კეინზიანური კონსენსუსის ფარგლებიდან, რომელიც გადატანილია თანამედროვე ფიატურ ნიადაგზე.

არსებობს თუ არა შემთხვევები MMT-ის სრულფასოვანი პოლიტიკის რეალიზაციისა პრაქტიკაში? MMT-ის მომხრეები ამტკიცებენ, რომ დღემდე ასეთი პრეცედენტი არ ყოფილა. აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში მაღალი ინფლაციის ეპიზოდები ახსნილია, როგორც იმ ეკონომიკების ჭარბი სტიმულირების შედეგები, რომლებიც არ ფლობენ რეალურ ფულად სუვერენიტეტს და ცალკეულ შემთხვევებში - საწარმოო პოტენციალის მკვეთრი შემცირების შედეგი (2000-იანი წლების დასაწყისის ზიმბაბვე [Mitchell et al., 2019]). უპირობო დახმარების შეთავაზების პროგრამებს (აშშ, 2007-2009 და 2020 წლები), როგორც თვლიან, ასევე არ გააჩნია ურთიერთობა MMT-სთან, რომელიც მოითხოვს ყველა მსურველის სამუშაოთი უზრუნველყოფას და არა „ვერტმფრენიდან ფულის გადმოყრას“.

მიუხედავად იმისა, რომ ფართო საზოგადოებაში MMT-იმ ცოტა ხნის წინ მოიპოვა პოპულარობა, ის ჩაისახა ჯერ კიდევ ოც წელზე მეტი ხნის წინათ, მაგრამ დიდი ხანის მანძილზე ის ცნობილი იყო მხოლოდ ვიწრო აკადემიურ წრეებში და აქტუალური მაკროეკონომიკური დისკუსიების მიღმა იმყოფებოდა, რომელიც მოიცავდა მეინსტრიმის წარმომადგენლებსა და მსხვილ პოლიტიკურ მოთამაშეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3 | მდგრადი ურბანიზაციის გავლენა სოციალური და ეკოლოგიური ინდიკატორებზე: ემპირიული კვლევა საქართველოს რეგიონების მაგალითზე | ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგრანტო პროექტი | ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 5 | **ლ. თოთლაძე** - ხელმძღვანელი; **ი. ანანიაშვილი** - მონაწილე; **მ. ხუსკივაძე** - მონაწილე; **გ. კოხრეიძე** - დოქტორანტი **ი. გახარია** - დოქტორანტი |

*ანოტაცია:*

თანამედროვე სამყარო უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას. ამ რეალობაში, ცხადია, ყველა ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, შეინარჩუნოს მდგრადი განვითარების შესაბამისი ტემპები. ურბანიზაცია, როგორც მრავალმხრივი ფენომენი, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მდგრადი განვითარების მიზნებში. არსებითად მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებაში მისი როლის შეფასება.

ნაშრომში განხილულია ურბანიზაციის, როგორც სოციალური ტრანსფორმაციის არსი და მისი კავშირი ქვეყნის განვითარების ინდიკატორებთან. გაანალიზებულია ურბანიზაციის დადებითი და უარყოფითი ეფექტები. ემპირიულ ასპექტში კი ყურადღება გამახვილებულია ქალაქად მოსახლეობის კონცენტრაციის რაოდენობრივ ასპექტებზე და აგებულია ზიფის მრუდი საქართველოს ქალაქებისათვის. ემპირიული მონაცემების საფუძველზე გაანალიზებულია საქართველოს სოციალურ და ეკოლოგიურ ინდიკატორზე ურბანიზაციის გავლენის თავისებურება რეგიონულ ჭრილში. პანელური მონაცემებითა და MANOVA და LMER (წრფივი შერეული ეფექტების რეგრესია) მოდელებით შევაფასეთ, თუ როგორ ზემოქმედებს ურბანიზაცია ადამიანის განვითარებაზე, შემოსავლების განაწილებაზე, სოციალური ინდიკატორებსა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე.

მიღებული დასკვნები ხაზს უსვამს ურბანიზაციის მრავალმხრივ ბუნებას, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მამოძრავებელი ძალისა და გარემოზე ზემოქმედების წყაროს. კვლევა გვიჩვენებს აგრეთვე დაბალანსებული ურბანული პოლიტიკის საჭიროებას, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებას, შეამცირებს ეკოლოგიურ რისკებს და განსაზღვრავს სამომავლო კვლევის გზებს უფრო ხანგრძლივი და დეტალური მონაცემთა ნაკრებების გამოყენებით.

## III. სამეცნიერო პუბლიკაციები

### III.1. პუბლიკაციები საქართველოში:

*(ივსება სამეცნიერო/სასწავლო ერთეულის პერსონალის ანბანური სიის მიხედვით. დუბლირებული პუბლიკაციები დატოვეთ ერთ ეგზემპლარად. პუნქტი, რომელიც არასრულად იქნება შევსებული, არ ჩაითვლება)*

III.1.გ. სტატია:

| № | ავტორ(ებ)ი | სათაური | DOI (არსებობის შემთხვევაში) | ჟურნალის დასახელება, გამომცემლობა, ISSN | ჟურნალის ნომერი, გვერდები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | **აბესაძე რამაზ,** აბესაძე დემეტრე | ზოონოზური დაავადებები და მათი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები | https://doi.org/10.52340/ekonomisti.2025.02.01 | საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა DOI: 10.52340/EKONOMISTI e ISSN 2346-8432 p ISSN 1987-6890 | №2, გვ.8-21 |
| ანოტაცია: ნაშრომში გამოკვლეულია ზოონოზურ დაავადებათა არსი მათ წარმოშობათა წყაროები და სახეები, ასევე ზოონოზების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, როგორც ზოგადად, ისე ისტორიულ ჭრილში. აღნიშნულია, რომ ნებისმიერი ზოონოზები იწვევს გარკვეულ ნეგატიური ეკონომიკურ და სოციალურ შედეგს. ზოონოზური დაავადების პირდაპირი ხარჯები დაკავშირებულია სიკვდილიანობასთან (სამუშაო ძალის შემცირება, ადამიანისეული კაპიტალის კლება); ფიზიკური კაპიტალის მოცდენასთან (მთიანი შიდა პროდუქტის დანაკარგი); სამეცნიეროკვლევით სამუშაოთა დაფინანსების შემცირებასთან (ეკონომიკური განვითარების შეფერხება); ადამიანთა დაავადებასთან (დანახარჯები ჯანდაცვის სექტორში) და ცხოველთა ავადობასთან (შინაურ ცხოველთა მკურნალობა, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება). დაავადების არაპირდაპირი ხარჯები დაკავშირებულია დაავადების პრევენციასთან და კონტროლის ღონისძიებებთან; ბაზრის ზემოქმედებებთან, როგორიცაა ვაჭრობისა და მოგზაურობის რეგულაციები და შეზღუდვები; საქონლის ხორცის პროდუქტებზე შიდა მოთხოვნის შემცირება; საექსპორტო ბაზრების დაკარგვა და ხორცის ფასების დაცემა; ასევე იმასთან, რაც გამომდინარეობს მომხმარებელთა რეაქციიდან და მომხმარებელთა ნდობის ცვლილებებთან კვების ჯაჭვის მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ზოონოზურ პანდემიებზე როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში. | | | | | |
| 2 | **აბესაძე რამაზ** | ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური საფრთხეები | | აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და | გვ. 20-35 |

<table>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td>გამოწვევები“ მასალათა კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>ეროვნულ ეკონომიკაზე დიდ გავლენასა ახდენს მსოფლიოში მიმდინარე როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური ფაქტორები. ნაშრომში განხილულია ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური ეკონომიკური და არაეკონომიკური საფრთხეები. გლობალური ეკონომიკური საფრთხეებიდან გამოიყოფა: ეკონომიკური კრიზისები; ენერგეტიკული პრობლემ; სიღარიბის პრობლემა; სასურსათო პრობლემა; რესურსების ამოწურვის პრობლემა (ნავთობის, ბუნებრივი აირის, ქვანახშირის, ხე-ტყის, ფერადი ლითონების გამოფიტვა, წყლის რესურსების დეფიციტი); კოსმოსის ათვისება, მსოფლიო ოკეანის რესურსების გამოყენება და სხვ. არაეკონომიკური ხასიათის გლობალური საფრთხეებიდან კი: მშვიდობის დაცვა; განიარაღება და შეიარაღებაზე კონტროლის დაწესება; განვითარებადი ქვეყნების პრობლემები; დემოგრაფიული პრობლემები; ეკოლოგიური პრობლემები (გარემოს კატასტროფული დაბინძურება: ატმოსფეროს, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება; ბიომრავალფეროვნების შემცირება; კლიმატის ცვლილება: გლობალური დათბობა; ოზონის ხვრელები, სათბურის ეფექტი; საერთაშორისო ტერორიზმი; ნარკობიზნესი; ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები; ადამიანის უფლებათა და თავისუფლების დაცვა; კულტურულ მრავალფეროვნებათა შენარჩუნება; კიბერუსაფრთხოება და სხვ.</td></tr>
<tr><td>3</td><td>აბესაძე რამაზ,<br>კაკულია ეთერი,<br>ბიბილაშვილი ნანა,<br>კურატაშვილი ქრისტინე</td><td>სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული პრობლემები</td><td></td><td>აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“ მასალათა კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4</td><td>გვ. 158-165</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>სახელმწიფოს მუდმივი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ზრუნვა ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. ნაშრომში გამოკვლეულიასახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თეორიული საკითხები. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური უსაფრთხოების გეგმის შემუშავებისას, უპირველეს ყოვლისა, გამოკვლეული უნდა იქნეს ქვეყნის ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა, განისაზღვროს გლობალური და ეროვნული ეკონომიკური და არაეკონომიკური საფრთხეები, ჩამოყალიბდეს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები და დადგინდეს მათი ზღვრული სიდიდეები. საბოლოოდ, შემუშავდეს ეკონომიკური უსაფრთხოების მოდელი მოცემული ქვეყნისათვის, რომელშიდაც აისახება აქ</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">მოყვანილი სამუშაოების შედეგები და ამ შედეგებზე დაფუძნებული ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა სისტემა.<br>ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილებია: რეგიონული, ეკონომიკური უსაფრთხოება, ფინანსური უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოება; სასურსათო უსაფრთხოება, ორგანიზაციის უსაფრთხოება, ასევე მისი ცალკეული, სფეროსა თუ დარგის უსაფრთხოება, როგორიცაა მრეწველობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ტურიზმი, ტრანზიტი, მცირე ბიზნესი და სხვ. ნაშრომში განხლულია ზოგიერთი მათგამი, კერძოდ: რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოება, ფინანსური უსაფრთხოება, ენერგეტიკული უსაფრთხოება; სასურსათო უსაფრთხოება და ორგანიზაციის (საწარმოს) ეკონომიკური უსაფრთხოება.</td></tr>
<tr><td>4</td><td>რამაზ აბესაძე</td><td>სასურსათო უსაფრთხოება და მისი სახელმწიფო რეგულირება საქართველოში</td><td></td><td>თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVIII, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISSN 1987-6904</td><td>29 გვ.</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოშში სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა, ასევე მისი სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი. საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგეიდან (1991 წ.) 2014 წლამდე არ განხორციელებულა სისტემური და კომპლექსური ღონისძიებები ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების სისტემის უზრუნველსაყოფად. 2014 წლიდან მდგომარეობა, რადიკალურად არა, მაგრამ დადებითად იცვლება, როგორც სურსათის წარმოების ზრდის, ისე სასურსათო უსაფრთხოების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის სრულყოფის მიმართულებით.</td></tr>
<tr><td>5</td><td>აბესაძე რამაზ,<br>კაკულია ეთერი,<br>ბიბილაშვილი ნანა,<br>კურატაშვილი ქრისტინე,<br>თაფლაძე თამარ</td><td>სურსათისა და კვების საერთაშორისო ორგანიზაციები</td><td></td><td>თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVIII, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISSN 1987-6904</td><td>17 გვ.</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მსოფლიო, ისე ეროვნული სასურსათო პრობლემების გადასაჭრელად სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესთა რეგულირებას, რასაც შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ. ძირითადად ეს ორგანიზაციებია: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (Food and Agriculture Organization (FAO); მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების კომიტეტი (Committee on World Food Security (CFS)); მსოფლიო სასურსათო პროგრამა World Food Programme (WFP); სურსათისა და კვების განყოფილება (Food and Nutrition Division (ESN)); სასოფლო-სამეურნეო ბაზრის საინფორმაციო სისტემა (Agricultural Market Information System (AMIS)); სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი. (International Fund for Agricultural Development of the United Nations (IFAD)); Heifer International; გაეროს ბავშვთა ფონდი United Nations Children's Fund (UNICEF); საერთაშორისო სურსათის პოლიტიკის კვლევითი ინსტიტუტი (International Food Policy Research Institute IFPRI). ნაშრომში გამოკვლეულია ამ ორგანიზაციათა საქმიანობა მსოფლიოში,</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">მათ შორის, საქართველოში.</td></tr>
<tr><td>6</td><td>ბერიშვილი ხათუნა</td><td>საქართველოში მცირე ბიზნესსუბიექტებზე მოქმედი ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების ნეგატიური შედეგების გამოვლენა და დაძლევა.</td><td></td><td>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XVII, N2 .2025</td><td>ტომი XVII, N2 .2025</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>მცირე ბიზნესი წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის საფუძველს და საზოგადოების ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წყაროს. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან გატარებული რეფორმების შედეგად, საქართველოს ეკონომიკა დაეფუძნა თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, სადაც ეკონომიკური ზრდის ძირითად წყაროსა და სოციალური განვითარების საფუძველს წარმოადგენს ბიზნესსექტორი. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია კერძო სექტორის განვითარებასა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე. 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამაში - „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, მცირე და საშუალო საწარმოები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, უმუშევრობის დაძლევისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ძირითად ფაქტორადაა მიჩნეული. მცირე ბიზნესიმნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტის ზრდას, ინოვაციების დანერგვასა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021-2025 წლების სტრატეგიის შემუშავებამ განსაზღვრა ამ სექტორში სამომავლო ხედვები, პრიორიტეტული მიმართულებები, ძირითადი ამოცანები და აქტივობები. მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგიული მნიშვნელობის აქტუალურობას აძლიერებს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, რომლის კონტექსტშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცირე ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ქვეყანაში მცირე ბიზნესის სფეროში არსებული პროგრესის მიუხედავად, კვლავაც რჩება ამ სფეროს დამაბრკოლებელი პრობლემები და ფაქტორები, რომელთა შესწავლა და ანალიზი მნიშვნელოვან მეცნიერულ პრობლემას წარმოადგენს.წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ის ფაქტორები, რომლებიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მცირე ბიზნესისა და შესაბამისად, სოციალური სფეროს განვითარებაზე. ამ ფაქტორების ანალიზი და რანჟირება შესაძლებელს ხდის მათ სტრატეგიულ მართვას და რეგულირებას. მცირე ბიზნესის განვითარებაზე ნეგატიური ფაქტორების გავლენის შესუსტება კი შესაძლებელია მისი სახელმწიფო და არასახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერების, ამ დარგში არსებული პრობლემების დინამიკური დაძლევის საფუძველზე, რაც შესაბამისად აისახება მცირე ბიზნესის დინამიკურ განვითარებაზე, ამ დარგში დასაქმებული მუშაკებისა და მთლიანად საზოგადოების სოციალური კეთილდღეობის დონის ამაღლებაზე.</td></tr>
<tr><td>7</td><td>Berishvili kh.,Shengelia T,</td><td>Innovative Business in Georgia: Problems and Prospects</td><td></td><td>publication date 2025/4/7<br>Journal<br>The New Economist<br>Volume20.Issue1<br>Pages24-35<br>Peer review method: Double-Blind<br>Accepted: Yanuary 27, 2025<br>Published: February 15, 2025</td><td>Volume20.Issue1<br>Pages24-35</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>თანამედროვე კომპანიები დიდ დროსა და ფინანსებს ხარჯავენ ინოვაციური აქტივობების განხორციელებაზე. პოსტინდუსტრიულ ეპოქაში ეს აქტივობები უზრუნველყოფენ მათ კონკურენტულ უპირატესობას, საშუალებას იძლევიან გადარჩნენ მუდმივად ცვალებად საბაზრო გარემოში. ბიზნესი, რომელიც აწარმოებს და იყენებს სამეცნიერო-ტექნიკურ სიახლეებს, ხდება ინოვაციური. ამ პროცესის</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">განხორციელებაში ერთი მხრივ დიდ როლს თამაშობენ ინოვატორები, რომლებიც კომპანიებს სთავაზობენ ორიგინალურ იდეებს და ინვესტორები, რომელთა ფინანსური მხარდაჭერის გარეშე ინოვაციური კომპანიების ფუნქციონირება და განვითარება შეუძლებელია. ამ კონტექსტში ინოვაციური ბიზნესის განვითარების ზოგადი ტენდენციების შესწავლა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირება წარმოადგენს აქტუალური მეცნიერულ ამოცანას. სტატიის მიზანია დაადგინოს ინოვაციებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების ტიპოლოგია, ინოვაციური ბიზნესის სახეებისა და მსოფლიო გამოცდილების გაანალიზება, საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე ინოვაციური ბიზნესის პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის კონკრეტული გზები და მიმართულებანი დადგენაა.<br>ეს სტატია აწვდის პოლიტიკოსებს, ბიზნეს ლიდერებს და აკადემიკოსებს ინფორმაციას იმ პრაქტიკული ნაბიჯების შესახებ, რომელიც უნდა გადაიდგას საქართველოში ინოვაციური ბიზნესის გასავითარებლად.</td></tr>
<tr><td>8</td><td>ბერიშვილი ხათუნა, გოგუაძე მ.</td><td>საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი და კვლევის თავისებურებები.</td><td></td><td>აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“ მასალათა კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4</td><td>გვ. 327-331</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>თანამედროვე გლობალურ სამყაროში საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და თანამშრომლობის ხარისხს. ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოსთვის ევროკავშირთან ინტეგრაცია ერთ-ერთი მთავარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი გახდა, რაც საგრძნობლად აისახა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გააქტიურებაზე.<br>საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს საქართველოს საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთ ყველაზე დინამიურ და პრიორიტეტულ მიმართულებას, რომლის განვითარება განსაკუთრებით გააქტიურდა 2014 წელს ასოცირების შეთანხმების გაფორმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ამოქმედების შემდეგ. აღნიშნული დოკუმენტი საფუძვლად დაედო ევროკავშირის ქვეყნებთან ეკონომიკურ ინტეგრაციას და განაპირობა ქვეყნის შიდა ბაზრის გაუმჯობესება ევროპული სტანდარტების შესაბამისად.</td></tr>
<tr><td>9</td><td>ბერიშვილი ხათუნა</td><td>სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები მსოფლიოში და მისი გავლენა საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებაზე</td><td></td><td>თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ.</td><td>20 გვ.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td>XVIII, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISSN 1987-6904</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>სასურსათო უსაფრთხოება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევას წარმოადგენს. გლობალიზაციის, კლიმატური ცვლილებების, გეოპოლიტიკური კონფლიქტების, პანდემიებისა და ეკონომიკური კრიზისების ფონზე, სასურსათო სისტემები სულ უფრო მეტად განიცდიან ზეწოლას.<br>აღნიშნული სტატია მიზნად ისახავს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების კომპლექსურ ანალიზს გლობალურ დონეზე და ამ პროცესების გავლენის შეფასებას საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებაზე. ნაშრომში განხილულია სასურსათო უსაფრთხოების ცნება, მისი ძირითადი კომპონენტები, მსოფლიო ტენდენციები, ძირითადი საფრთხეები და საქართველოს სპეციფიკური მდგომარეობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმპორტზე დამოკიდებულებას, აგრარული სექტორის სტრუქტურულ პრობლემებსა და სახელმწიფო პოლიტიკის როლს. დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერებას.</td></tr>
<tr><td>10</td><td>ბერულავა გიორგი</td><td>საქართველოს სასოფლო რაიონებში არასასოფლო-სამეურნეო ფირმების ინოვაციური საქმიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები</td><td></td><td>თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVIII, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISSN 1987-6904</td><td>17 გვ.</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>სოფლის არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის (RNFE) წახალისება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სოფლის მდგრადი განვითარებისთვის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ეს ნაშრომი იკვლევს ინოვაციური აქტივობისა და ბიზნესის გაფართოების განმსაზღვრელ ფაქტორებს არასასოფლო-სამეურნეო ფირმებში სოფლის მეურნეობაში საქართველოში. კვლევა ეფუძვნება მონაცემთა ბაზას რომელიც მოიცავს საქართველოს რვა მუნიციპალიტეტის 818 არა-ფერმერულ საწარმოს. წრფივი და ლოგისტიკური რეგრესიის მოდელების გამოყენებით, ნაშრომში შესწავლილია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პროდუქტიულობაზე, დასაქმების და კაპიტალის ზრდაზე და გაფართოების გეგმებზე. კვლევის შედეგები ხაზს უსვამს სამეწარმეო ადამიანური კაპიტალის (განათლება, ტრენინგი, ღირებულებები), ფირმის რესურსების (ფინანსებზე წვდომა, ფიზიკური აქტივები) და გარე გარემოს (სახელმწიფო მხარდაჭერა, ადგილობრივი ბიზნეს კლიმატი) კრიტიკულ როლს არა-ფერმერულ საწარმოების განვითარებაში. კვლევის შედეგები უზრუნველყოფს ემპირიულ საფუძველს საქართველოს სოფლის არასასოფლო-სამეურნეო სექტორში ინოვაციებისა და ზრდის სტიმულირების მიზნით მიზნობრივი პოლიტიკის შემუშავებისთვის.</td></tr>
<tr><td>11</td><td>ბერულავა გიორგი</td><td>კვლევასა და განვითარებაში (R&D) ინვესტიციებისა და ინოვაციის განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოში: ემპირიული კვლევა</td><td></td><td>სამეცნიერო სტატიების კრებული “ეკონომიკური მეცნიერება და საქართველოს ეკონომიკა”, გამომცემლობა “უნივერსალი”,</td><td>გვ. 250-257</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td>თბილისი/ISBN 978-9941-525-21-6</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>ნაშრომში, შესწავლილია კვლევასა და განვითარებაში (R&D-სა) ინვესტიციების და ინოვაციების დეტერმინანტები და შედეგები საქართველოში. კვლევამ, დაადასტურდა წინა ემპირიული კვლევების შედეგები, რომ R&D-ში ინვესტიციები ინოვაციების დანერგვის გადამწყვეტი წინაპირობაა და რომ ინოვაცია, თავის მხრივ, არსებითად ზრდის მწარმოებლურობის შედეგიანობას. ასევე, კვლევამ დაადასტურა შუმპეტერიანული ჰიპოთეზა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან შედარებით მსხვილ ფირმებს, როგორც წესი, უფრო მეტი უპირატესობა გააჩნიათ ინოვაციური საქმიანობისთვის საჭირო რესურსების მოპოვებაში. კვლევაში ასევე ნაჩვენებია ისეთი მენეჯერული საქმიანობის მნიშვნელობა, როგორიცაა უცხოური ტექნოლოგიების გამოყენება, პერსონალის ტრენინგი და ბიზნეს სტრატეგიის შემუშავება. ჩვენი კვლევის შედეგები ასევე ხაზს უსვამს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა (ICT-ისა) და პირდაპირ საექსპორტო საქმიანობის როლს ინოვაციების სტიმულირებაში. კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები R&D-სა და ინოვაციებში ინვესტიციების სტიმულირების მიმართულებით.</td></tr>
<tr><td>12</td><td>ბერულავა გიორგი</td><td>საქართველოს სასოფლო რაიონებში არასასოფლო-სამეურნეო ფირმების ინოვაციური საქმიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები</td><td></td><td>თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVIII. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISSN 1987-6904</td><td>35 გვ.</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>სოფლის არასასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის (RNFE) წახალისება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სოფლის მდგრადი განვითარებისთვის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ეს ნაშრომი იკვლევს ინოვაციური აქტივობისა და ბიზნესის გაფართოების განმსაზღვრელ ფაქტორებს არასასოფლო-სამეურნეო ფირმებში სოფლის მეურნეობაში საქართველოში. კვლევა ეფუძნება მონაცემთა ბაზას რომელიც მოიცავს საქართველოს რვა მუნიციპალიტეტის 818 არა-ფერმერულ საწარმოს. წრფივი და ლოგისტიკური რეგრესიის მოდელების გამოყენებით, ნაშრომში შესწავლილია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პროდუქტიულობაზე, დასაქმების და კაპიტალის ზრდაზე და გაფართოების გეგმებზე. კვლევის შედეგები ხაზს უსვამს სამეწარმეო ადამიანური კაპიტალის (განათლება, ტრენინგი, ღირებულებები), ფირმის რესურსების (ფინანსებზე წვდომა, ფიზიკური აქტივები) და გარე გარემოს (სახელმწიფო მხარდაჭერა, ადგილობრივი ბიზნეს კლიმატი) კრიტიკულ როლს არა-ფერმერულ საწარმოების განვითარებაში. კვლევის შედეგები უზრუნველყოფს ემპირიულ საფუძველს საქართველოს სოფლის არასასოფლო-სამეურნეო სექტორში ინოვაციებისა და ზრდის სტიმულირების მიზნით მიზნობრივი პოლიტიკის შემუშავებისთვის.</td></tr>
<tr><td>13</td><td>ბერულავა გიორგი</td><td>ინოვაცია და R&D (კვლევა და განვითარება) საქართველოში: მიმდინარე მდგომარეობა, გამოწვევები და რეკომენდაციები</td><td></td><td>აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული</td><td>გვ. 59-67</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td>მდგომარეობა და გამოწვევები“ მასალათა კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>კვლევა კრიტიკულად აფასებს ინოვაციებისა და R&D-ის (კვლევა და განვითარება) სტრუქტურულ კონფიგურაციას საქართველოში პოლიტიკის შესაბამისი დასკვნების გამოსატანად. კვლევის შედეგები მიუთითებს R&D-ის (კვლევისა და განვითარების) ინტენსივობის მუდმივ დაბალ მაჩვენებელზე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ინდუსტრიას შორის არასაკმარის არტიკულაციაზე და ტექნოლოგიების დანერგვისა და კომერციალიზაციის ინსტიტუციურ დაბრკოლებებზე. ძირითადი გამოვლენილი შეზღუდვები მოიცავს ფინანსური რესურსების არაოპტიმალურ განაწილებას, სამუშაო ძალაში უნარების შეუსაბამობას და მარეგულირებელ შეზღუდვებს, რომლებიც ხელს უშლის ინოვაციური საქმიანობის გაზრდას. ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია შემდეგი რეკომედაციები: საჯარო და კერძო კვლევისა და განვითარების დაფინანსების გაზრდა; ცოდნის გადაცემისა და კომერციალიზაციის წამახალისებელი სტრუქტურების რეფორმირება; კოორდინირებული უნარების განვითარების ინიციატივების განხორციელება. შემოთავაზებული ზომები პრიორიტეტულია მიზანშეწონილობისა და პოტენციური ზემოქმედების მიხედვით. კვლევა გვთავაზობს ქმედით რეკომენდაციებს პოლიტიკის შემქმნელებსა და პრაქტიკოსებს, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს ინოვაციური შესაძლებლობების გაძლიერებას.</td></tr>
<tr><td>14</td><td>ბრეგვაძე გიორგი</td><td>იმპორტის როლი სასურსათო უზრუნველყოფაში</td><td></td><td>თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVIII. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISSN 1987-6904</td><td>9 გვ.</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>ნაშრომში განხილულია საქართველოში იმპორტის როლი სასურსათო უზრუნველყოფაში. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე განხილულია არსებული მდგომარეობა და გაანალიზებულია ის პრობლემები, რომლებიც დგას სურსათით ქვეყნის უზრუნველყოფის საქმეში.</td></tr>
<tr><td>15</td><td>ბრეგვაძე გიორგი</td><td>ექსპორტ-იმპორტი საქართველოში</td><td></td><td>აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური</td><td>გვ. 175-180</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td>უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“ მასალათა კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>ნაშრომი მიმოიხილავს ექსპორტისა და იმპორტის დინამიკას საქართველოში 2024-2025 წლებში, ფოკუსით 2025 წლის იანვარ-მაისის მაჩვენებლებზე. აქვე გაანალიზებულია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები, სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურა, სავაჭრო დეფიციტის მასშტაბები, ასევე მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები და სასაქონლო ჯგუფები. ნაშრომში წარმოდგენილია ექსპორტისა და იმპორტის გავლენა ეკონომიკაზე, კონკურენტუნარიანობასა და ქვეყნის სტრატეგიულ პერსპექტივებზე. კეთდება დასკვნები და რეკომენდაციები სავაჭრო დივერსიფიკაციისა და ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.</td></tr>
<tr><td>16</td><td>ბურდული ვახტანგ</td><td>ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კოორდინაციის პრობლემები</td><td></td><td>თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVIII. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISSN 1987-6904</td><td>25 გვ.</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>ნაშრომში განიხილება საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების დინამიკა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან კონტექსტში. სისტემატიზებულია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კოორდინაციის მექანიზმის შემადგენელი ფაქტორები. მოკლედ გაშუქებულია იმ სპეციალიზებული გლობალური ორგანიზაციების შინაარსი, რომლებიც კოორდინაციას უწევენ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. დასახულია მიმდინარე პერიოდში ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კოორდინაციის მექანიზმის გაუმჯობესების გზები.</td></tr>
<tr><td>17</td><td>ბურდული ვახტანგ</td><td>ეკონომიკის სექტორებში ინოვაციების რეალიზაციის სტრატეგია.</td><td></td><td>წიგნში: ეკონომიკური მეცნიერება და საქართველოს ეკონომიკა, I. სამეცნიერო სტატიები. ეძღვნება ვლადიმერ (ლადო) პაპავას დაბადების 70 წლისთავს. გამომცემლობა</td><td>გვ. 258-264.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td>„უნივერსალი“. თბილისი 2025. ISBN 978-9941-525-21-6 .</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>ნაშრომში შემოთავაზებულია და დასაბუთებული ინოვაციების (უპირატესად საბაზისო, როგორც საპროცესო, ასევე საპროდუქტოების) რეალიზაციის სტრატეგია ენერგეტიკის სექტორში და მრეწველობის რიგ ქვესექტორში (ელექტროტექნიკური მრეწველობა, კომპოზიტური მასალების და მათგან ნაკეთობების წარმოება, მეტალურგიული მრეწველობა, ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, მსუმბუქი ნრეწველობა).</td></tr>
<tr><td>18</td><td>Burduli Vakhtang.</td><td>The State of Formation of the Innovative Economy in Georgia’s Regions and the Existing Economic Difficulties.</td><td>DOI: 10.52340 /ekonomi sti.2025. 03.01</td><td>საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა DOI: 10.52340/EKONOMISTI e ISSN 2346-8432 p ISSN 1987-6890</td><td>№3, 2025, გვ. 17-32</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>ნაშრომში მოცემულია ინოვაციების სახეების კლასიფიკაცია, განხილულია თანამედროვე ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მექანიზმები, სისტემატიზებულია ინოვაციების დამუშავების ხერხები და ინოვაციების გავრცელების კოორდინაციის საერთოსახელმწიფოებრივი და რეგიონული ინსტრუმენტები, განხილულია ინოვაციების განხორციელების ძირითადი მიმართულებები თანამედროვე პერიოდში. შემდეგ განხილულია ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების კოორდინაციის მდგომარეობა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ, ასევე, საქართველოს რეგიონებში საბაზისო ინოვაციური ტექნოლოგიების გავრცელების მდგომარეობა ზოგიერთი სირთულის გამოვლენით და მათი გადალახვის გზების დასახვით. სისტემატიზებულია საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების რეგიონული კომპონენტები და მოცემულია მათი გამოყენების მდგომარეობა რეგიონებში. უკანასკნელ დანაყოფში განხილულია არსებული ეკონომიკური სირთულეები ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისას და მათი გადალახვის ზოგიერთი გზა.</td></tr>
<tr><td>19</td><td>Vakhtang Burduli, Ramaz Abesadze,</td><td>2.6. Prospects for coordination of innovative development of economic sectors of Georgia in the next decade.</td><td></td><td>In: Public Administration for Sustainable Development. Mechanisms and Strategies of State and Regional Administration in the Conditions of War and Reconstruction of Ukraine. Collective Monograph. Kyiv-Bielsko-Biala, 2025.</td><td>P.217-249.</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>ნაშრომში განხილულია ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ ინოვაციების განხორციელებას</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">ეკონომიკის სექტორებში და მათი დაძლევის ზოგიერთ გზა, ასევე უახლოეს პერიოდში იმ ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები, რომელიც საჭიროა ინოვაციების რეალიზაციისათვის ეკონომიკის სექტორებსა და ქვესექტორებში. მოკლედ განხილულია ეკონომიკის სექტორებსა და ქვესექტორებს შორის ინოვაციების გავრცელებისა და დანერგვის ურთიერთკავშირის პრობლემები. შემდეგ შემოთავაზებულია და დასაბუთებული ინოვაციების (უპირატესად საბაზისო, როგორც საპროცესო, ასევე საპროდუქტოების) რეალიზაციის სტრატეგია ენერგეტიკის სექტორში და მრეწველობის რიგ ქვესექტორში (ელექტროტექნიკური მრეწველობა, კომპოზიტური მასალების და მათგან ნაკეთობების წარმოება, მეტალურგიული მრეწველობა, ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, მსუბუქი მრეწველობა).</td></tr>
<tr><td>20</td><td>ბურდული ვახტანგ</td><td>Состояние формирования в регионах Грузии нновационной экономики и существующие экономические трудности.</td><td></td><td>აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“ მასალათა კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4</td><td>გვ. 67-83</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>სტატიაში წარმოდგენილია ინოვაციების ტიპების კლასიფიკაციის ზოგიერთი ელემენტი, ასევე ინოვაციების გავრცელების კოორდინაციის მექანიზმები. განხილულია ინოვაციების განხორციელების რამდენიმე ძირითადი სფერო თანამედროვე ეპოქაში. შემდეგ განხილულია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ ინოვაციური ეკონომიკის განვითარების კოორდინაციის მდგომარეობა, ასევე ძირითადი ინოვაციური ტექნოლოგიების გავრცელება საქართველოს რეგიონებში. გამოვლენილია ზოგიერთი გამოწვევა და გამოკვეთილია მათი დაძლევის გზები. სისტემატიზებულია საქართველოს ინოვაციური ეკონომიკის რეგიონული კომპონენტები და ნაჩვენებია მათი გამოყენების მდგომარეობა რეგიონებში. ბოლო ნაწილი განიხილავს ინოვაციური ეკონომიკის განვითარების მიმდინარე ეკონომიკურ გამოწვევებს და მათი დაძლევის ზოგიერთ გზას.</td></tr>
<tr><td>21</td><td>გოგოხია თეიმურაზ</td><td>ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების პრობლემები საქართველოში</td><td></td><td>თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVIII. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის</td><td>12 გვ.</td></tr>
</table>

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | გამომცემლობა. ISSN 1987-6904 | |

ანოტაცია:

სტატიაში განსაზღვრულია ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების არსი და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავების საფუძველზე მისი უზრუნველყოფის მნიშვნელობა.

წარმოდგენილია ფირმის ეკონომიკური საქმიანობის გარე და შიდა საფრთხეები და რისკფაქტორები, ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებები.

განხილულია ინსტიტუციური და სამართლებრივი გარემოს გავლენა ფირმის ფუნქციონირებაზე მისი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ჭრილში.

გაანალიზებულია ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი პრობლემები საქართველოს ბიზნესგარემოში.

საქართველოში ფირმების ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული მართვის გასაუმჯობესებლად შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22 | დავლაშერიძე ნატალია | ლაურეატები ეკონომიკაში ჩვენი დროის ორ მთავარ საკითხზე: ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება და ორგანიზაციის (ფირმის) ეკონომიკური უსაფრთხოება | | თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVIII. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISSN 1987-6904 | 18 გვ. |

ანოტაცია:

ნაშრომში წარმოდგენილია ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატების თეორიული მემკვიდრეობის ანალიზი და მისი პრაქტიკული გამოყენება ჩვენი დროის ორი ურთიერთდაკავშირებული პრობლემის გადასაჭრელად: ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება და ორგანიზაციის ეკონომიკური უსაფრთხოება. კლიმატის ცვლილებით, გეოპოლიტიკური კონფლიქტებითა და პანდემიური შოკებით გამწვავებული გლობალური არასტაბილურობის კონტექსტში, ეს გამოწვევები კრიტიკული ხდება მდგრადი განვითარებისთვის, განსაკუთრებით ისეთი მცირე, ღია ეკონომიკისთვის, როგორიც საქართველოა. კვლევა თანმიმდევრულად განიხილავს ნობელის პრემიის ლაურეატ ძირითად ეკონომიკურ თეორიებს, რაც აჩვენებს მათ შესაბამისობას და გამოყენებადობას საქართველოს კონტექსტში. სტატიაში გაანალიზებულია ინფორმაციული ასიმეტრიის თეორია (ჯ. აკერლოფი, მ. სპენსი, ჯ. სტიგლიცი), რომელიც ხსნის სასოფლო-სამეურნეო ბაზრების არაეფექტურობას და ფერმერების მიერ ფინანსებზე წვდომის სირთულეებს; საერთო რესურსების მართვის თეორია (ე. ოსტრომი), რომელიც გვთავაზობს კოლექტიური მოქმედების მდგრადი სისტემების შექმნის მოდელებს; კონტრაქტების თეორია (ო. ჰარტი, ბ. ჰოლმსტრომი), რომელიც ხელს უწყობს სამართლიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების შემუშავებას; ქცევითი ეკონომიკა (რ. თალერი, დ. კანემანი), რომელიც საშუალებას იძლევა უფრო ეფექტური სამთავრობო პროგრამების შემუშავების; და მდგრადი ეკონომიკის კონცეფცია, რომელიც აერთიანებს ა. სენის, ვ. ნორდჰაუსის და ე. დიუფლოს იდეებს. საქართველოსათვის, როგორც სურსათის იმპორტზე მაღალი დამოკიდებულების მქონე ქვეყნისთვის და მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელოვანი სექტორისთვის, ამ თეორიების გამოყენება განსაკუთრებით აქტუალურია.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23 | Davlasheridze Natalia, Tvauri Shota | THE PROBLEMS OF GEORGIA'S INNOVATIVE DEVELOPMENT IN THE LIGHT OF THE WORKS OF NOBEL LAUREATES IN ECONOMICS | | აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს | გვ. 195-200 |

<table>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td>ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“ მასალათა კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>ნაშრომი აანალიზებს საქართველოს ინოვაციური განვითარების სისტემურ პრობლემებს ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატების თეორიული მიდგომების პრიზმით. ადამიანური კაპიტალის (გ. ბეკერი), ინსტიტუციური განვითარების (დ. ნორთი), ქცევითი ეკონომიკის (რ. თალერი), სივრცითი ეკონომიკის (პ. კრუგმანი) და ზოგადი რესურსების მართვის (ე. ოსტრომი) თეორიების საფუძველზე, გამოვლენილია ძირითადი გამოწვევები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები საჯარო პოლიტიკისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „ტვინის გადინების“, ინოვაციური ინფრასტრუქტურის სისუსტის, ინსტიტუციური შეზღუდვებისა და ქცევითი ბარიერების ანალიზს. კვლევა ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკურ მონაცემებს, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებსა და ინოვაციების ეკონომიკის შესახებ თანამედროვე პუბლიკაციებს.</td></tr>
<tr><td>24</td><td>Davlasheridze Natalia, Tvauri Shota</td><td>INFORMATION ASYMMETRY AND INNOVATION FINANCING IN GEORGIA</td><td></td><td>აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“ მასალათა კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4</td><td>გვ. 200-202</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>This article examines the systemic problem of innovation financing in Georgia through the prism of Joseph Stiglitz's theory of information asymmetry. Special attention is paid to the analysis of the reasons for the market failure in the segment of venture investments and startup lending. The necessity of active state participation for the formation of a sustainable ecosystem of support for technological entrepreneurship is substantiated.</td></tr>
<tr><td>25</td><td>დვალიშვილი ლია</td><td>მოსახლეობის სურსათზე</td><td></td><td>თსუ პაატა</td><td>26 გვ.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td>ეკონომიკური მისაწვდომლობის დონე</td><td></td><td>გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVIII. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISSN 1987-6904</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>ნაშრომი ვრცლად ეხება ქვეყნისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხს - მოსახლეობის სურსათზე ეკონომიკურ მისაწვდომლობას. თანამედროვე ეტაპზე არსებული გამოწვევების ფონზე აღნიშნული თემის მნიშვნელობასა და აქტუალობას როგორც გლობალურად, ისე ლოკალურად, ინფლაციის, ეკონომიკური კრიზისებისა და სიღარიბის გათვალისწინებით. გამოკვეთილია სურსათზე ეკონომიკური მისაწვდომლობის პირდაპირი კავშირი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხთან, ჯანმრთელობასთან და ეროვნულ უსაფრთხოებასთან.<br>განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასურსათო უსაფრთხოების ოთხ განზომილებას ( ხელმისაწვდომობა, გამოყენება, სტაბილურობა და ეკონომიკური მისაწვდომლობა), ეკონომიკური მისაწვდომლობის ინდიკატორებსა და მასზე მოქმედ ძირითად ფაქტორებს.<br>ნაშრომში განხილულია სოციალური უთანასწორობა და სოციალური კეთილდღეობის დონეები დაბალ და მაღალშემოსავლიან შინამეურნეობებში, ასევე, ეკონომიკური მისაწვდომლობის შედეგები და გავლენები ქვეყნის მასშტაბით.<br>ბოლოს, წარმოდგენილია სხვადასხვა გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები მოსახლეობის სურსათზე ეკონომიკური მისაწვდომლობის დონის ასამაღლებლად.</td></tr>
<tr><td>26</td><td>ლია დვალიშვილი<br>თენგიზ ქავთარაძე</td><td>სასურსათო უსაფრთხოების გლობალური გამოწვევები და ხარისხის უზრუნველყოფის გზები: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოს მაგალითი</td><td></td><td>აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“ მასალათა კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4</td><td>გვ. 331-341</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>ნაშრომი ვრცლად ეხება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხს – სასურსათო უსაფრთხოებას.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული გლობალურ გამოწვევებზე, როგორიცაა მოსახლეობის სწრაფი ზრდა, ბუნებრივი რესურსების დეფიციტი, კლიმატის ცვლილება და ეკოლოგიური დეგრადაცია. ნაშრომში განხილულია საკვების ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე მექანიზმები (HACCP, GMP) და მათი როლი უსაფრთხო და ხარისხიანი პროდუქციის მიწოდებაში.<br>საქართველოს მაგალითზე ნაშრომი აჩვენებს, რომ ქვეყანა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე, რაც ზრდის სასურსათო უსაფრთხოების რისკებს. პრობლემად რჩება ადგილობრივი წარმოების სუსტი განვითარება და ხარისხის კონტროლის არასაკმარისი დონე.<br>ნაშრომი მიუთითებს, რომ სასურსათო უსაფრთხოება არ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ეკონომიკურ ჭრილში – იგი გლობალური უსაფრთხოების, სოციალური კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების საკვანძო ელემენტია. საქართველოსთვის პრიორიტეტია ადგილობრივი წარმოების გაძლიერება, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარება და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა.</td></tr>
<tr><td>27</td><td>თეთრაული ციცინო</td><td>საქართველოს მიწის როლი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში</td><td></td><td>თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVIII. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISSN 1987-6904</td><td>22 გვ.</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>ნაშრომში განხილულია მიწის, როგორც უნიკალური ბუნებრივი რესურსების როლი და მნიშვნელობა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, დახასიათებული საქართველოს ნიადაგის ტიპები და მისი თავისებურებები. გაშუქებულია იმ პრევენციული ღონისძიებების გატარების აუცილებლობა, რომელიც დაიცავს საქართველოს ნიადაგების გამოფიტვის, ეროზიისა და დეგრადაციისგან.<br>განხილულია უცხოეთის გამოცდილება აგრარულ სფეროში როგორიცაა ისრაელის "კიბუცების" ფენომენი, რომლის წყალობითაც ნახევრად უდაბნოს მიწა თითქმის წალკოტად გადაიქცა). თურქეთის გამოცდილება ბიოპროდუქტების წარმოებაში და ა.შ. საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანა გაანალიზებულია ჩვენი ქვეყნის თითქმის მთლიანად ხორბლის იმპორტზე დამოკიდებულების საკითხები, ხორბლის ნათესების გაზრდის აუცილებლობა და სხვა სათანადო ღონისძიებების გატარება სასურსათო უსაფრთხოების მიზნით. საქართველოს აქვს იმის პოტენციალი რომ გახდეს ბიოპროდუქტების მწარმოებელი ქვეყანა რომელთა ფასიც მსოფლიო ბაზარზე საგრძნობლად იზრდება.</td></tr>
<tr><td>28</td><td>თეთრაული ციცინო</td><td>საქართველოს ნიადაგის ტიპები და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოება.</td><td></td><td>აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“ მასალათა კრებული. თსუ</td><td>გვ. 432-440</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td>პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>ნაშრომში განხილულია მიწის რესურსების არსი და მნიშვნელობა. შესწავლილია საქართველოს ნიადაგის ტიპები და მისი თავისებურებები. გაანალიზებულია ნიადაგის ეროზიის გამომწვევი მიზეზები და მასთან ბრძოლის გზები და მეთოდები. გაშუქებულია აგრარულ სფეროში მეტი კვალიფიციური კადრების მომზადების აუცილებლობა (ნიადაგ მცოდნეები, გეოლოგები, გეომორფოლოგები, სეისმოლოგები, აგრონომები, რეინჯერები და ა.შ.) რაც მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობას მითითებულია ის ეკოლოგიური და ეკონომიკური საფრთხეები რომელიც მიწიის რესურსებისადმი არასათანადო დამოკიდებულება შეიძლება გამოიწვიოოს. დახასიათებულია მეწყერების, ღვარცოფების და ა.შ. სტიქიური მოვლენების წინააღმდეგ პრევენციული ზომების გატარების გზები და მეთოდები.</td></tr>
<tr><td>29</td><td>თოთლაძე ლია</td><td>სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევროკავშირში</td><td></td><td>თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVIII. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISSN 1987-6904</td><td>14 გვ.</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>ნაშრომში განხილულია ევროკავშირში სასურსათო უსაფრთხოების (EU Food Safety) პრიორიტეტული საკითხები, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან, ეკონომიკურ სტაბილურობასთან და გარემოს დაცვასთან. ევროკავშირი უზრუნველყოფს უსაფრთხო და ხარისხიანი სურსათის მიწოდებას "მინდვრიდან მაგიდამდე" (farm to fork), მკაცრი რეგულაციებისა და სამეცნიერო პოლიტიკის საფუძველზე. კვლევაში ყურადღება გამახვილებულია სასურსათო უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი რგოლის - ევროპის სურსათის უვნებლობის სააგენტოს (EFSA) ფუნქციონირების პრიორიტეტებზე, და ასევე განხილულია სწრაფი შეტყობინების სისტემის (RASFF, რომელიც რისკის შემცველ პროდუქტებზე აფრთხილებს წევრ ქვეყნებს), ფუნქციონირების მექანიზმი. უახლესი ანგარიშები მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სურსათის უვნებლობის საერთო დონე მაღალია (პესტიციდების დონე 96%-ში უსაფრთხოა), სისტემა მუდმივად ებრძვის ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა სალმონელოზი, მიკროტოქსინები და სხვადასხვა სახის ქიმიკატები. სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელობა სცილდება უშუალო ჯანმრთელობის რისკებს, რადგან ის პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, გლობალურ ვაჭრობასა და აგრარულ სექტორზე.<br>განხორციელებული კვლევის შედეგების მიხედვით ვლინდება რომ ევროკავშირის სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა მკაცრ და სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას იყენებს, რათა უზრუნველყოს როგორც მომხმარებელთა ჯანმრთელობა, ისე ეკონომიკური მდგრადობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომავალში, EU-ს პოლიტიკა, ფოკუსირებული იქნება მდგრადობის გაუმჯობესებაზე, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შემცირებაზე, ნარჩენების შემცირებაზე (50%-ით 2030 წლისთვის) და ინოვაციური ტექნოლოგიების, მათ შორის ბლოკჩეინის, დანერგვაზე ტრანსპარენტულობის გასაზრდელად. აღსანიშნავია აგრეთვე, ამჟამინდელი ძირითადი გამოწვევები, რომელიც მოიცავს ანტიბიოტიკების რეზისტენტობას, მიკროპლასტიკებთან და გენმოდიფიცირებულ (GMO) პროდუქტებთან დაკავშირებულ საკითხებს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სისტემა მუდმივად ვითარდება, გლობალური კლიმატური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური გამოწვევები</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">მოითხოვს პოლიტიკის უწყვეტ ადაპტაციას და სტანდარტების გამკაცრებას.</td></tr>
<tr><td>30</td><td>თოთლაძე ლია,<br>ანანიაშვილი ი.,<br>ხუსკივაძე მამუკა</td><td>მდგრადი ურბანიზაციის ზეგავლენა სოციალურ და ეკოლოგიურ ინდიკატორებზე: ემპირიული კვლევა საქართველოს მაგალითზე</td><td></td><td>საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა DOI: 10.52340/EKONOMISTI e ISSN 2346-8432 p ISSN 1987-6890</td><td>№4, გვ. 44-64</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>თანამედროვე სამყარო უდიდესი გამოწვევების წინაშე დგას. ამ რეალობაში, ცხადია, ყველა ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, შეინარჩუნოს მდგრადი განვითარების შესაბამისი ტემპები. ურბანიზაცია, როგორც მრავალმხრივი ფენომენი, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მდგრადი განვითარების მიზნებში. არსებითად მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებაში მისი როლის შეფასება.<br>ნაშრომში განხილულია ურბანიზაციის, როგორც სოციალური ტრანსფორმაციის არსი და მისი კავშირი ქვეყნის განვითარების ინდიკატორებთან. გაანალიზებულია ურბანიზაციის დადებითი და უარყოფითი ეფექტები. ემპირიულ ასპექტში კი ყურადღება გამახვილებულია ქალაქად მოსახლეობის კონცენტრაციის რაოდენობრივ ასპექტებზე და აგებულია ზიფის მრუდი საქართველოს ქალაქებისათვის. ემპირიული მონაცემების საფუძველზე გაანალიზებულია საქართველოს სოციალურ და ეკოლოგიურ ინდიკატორზე ურბანიზაციის გავლენის თავისებურება რეგიონულ ჭრილში. პანელური მონაცემებითა და MANOVA და LMER (წრფივი შერეული ეფექტების რეგრესია) მოდელებით შევაფასეთ, თუ როგორ ზემოქმედებს ურბანიზაცია ადამიანის განვითარებაზე, შემოსავლების განაწილებაზე, სოციალური ინდიკატორებსა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე. MANOVA-ს შედეგები მიუთითებს, რომ ურბანიზაცია დადებითად არის დაკავშირებული HDI-თან და მშპ-სთან ერთ სულ მოსახლეზე და უარყოფითად არის დაკავშირებული ჯინის კოეფიციენტთან. LMER სპეციფიკაცია, რომელიც უკეთ ითვალისწინებს დროით და რეგიონულ ჰეტეროგენულობას, ადასტურებს რეგიონული ვარიაციის მნიშვნელოვნებას.<br>მიღებული დასკვნები ხაზს უსვამს ურბანიზაციის მრავალმხრივ ბუნებას, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მამოძრავებელი ძალისა და გარემოზე ზემოქმედების წყაროს. კვლევა გვიჩვენებს აგრეთვე დაბალანსებული ურბანული პოლიტიკის საჭიროებას, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებას, შეამცირებს ეკოლოგიურ რისკებს და განსაზღვრავს სამომავლო კვლევის გზებს უფრო ხანგრძლივი და დეტალური მონაცემთა ნაკრებების გამოყენებით.</td></tr>
<tr><td>31</td><td>თოთლაძე ლია,<br>ხუსკივაძე მამუკა</td><td>ინოვაციური რაიონები, როგორც მდგრადი ურბანული განვითარების ფაქტორი</td><td></td><td>აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“</td><td>გვ. 83-90</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td>მასალათა კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>ინოვაციური რაიონების არსებობა პირდაპირ კავშირშია ურბანიზაციის პროცესთან და წარმოადგენს თანამედროვე ურბანული განვითარების ერთ-ერთ ინოვაციურ მიმართულებას.<br>მდგრადი ურბანიზაცია კომპლექსური კონცეფციაა, რომელიც სამ ძირითად განზომილებას მოიცავს: ეკონომიკურს, გარემოსდაცვითს და სოციალურს. ინოვაციური რაიონების განხილვა სწორედ მდგრადი ურბანიზაციის სოციალური განზომილების კონტექსტშია მნიშვნელოვანი, ვინაიდან იგი ეხება ადამიანებს, მათ ცხოვრების ხარისხს, საზოგადოებრივ კეთილდღეობას და ქალაქების ინოვაციურ განვითარებას.<br>ნაშრომში განხილულია ინოვაციური რაიონების არსი, გადმოცემულია დღეისაივის ინოვაციური რაიონების განვითარების ცალკეული მაგალითები. ყურადღებაა გამახვილებული თბილისში მსგავსი ტიპის რაიონების შექმნის პოტენციალსა და მნიშვნელოვნებაზე.</td></tr>
<tr><td>32</td><td>კვარაცხელია მურმან</td><td>სასურსათო უსაფრთხოების ინსტიტუციური უზრუნველყოფა</td><td></td><td>თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVIII. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISSN 1987-6904</td><td>9 გვ.</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>თემაში გამოკვლეულია სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელობა ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების საკითხების კონტექტში. როგორ უნდა მოხდეს ამ უსაფრთხოების ინსტიტუციური უზრუნველყოფა პრობლემის გადაწყვეტაში.</td></tr>
<tr><td>33</td><td>კვარაცხელია მურმან</td><td>ილია ჭავჭავაძის ხედვა აფხაზეთის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე.</td><td></td><td>სტატია კრებულში „ეკონომიკური მეცნიერება და საქართველოს ეკონომიკა“, თბილისი, უნივერსალი, 2025 წ</td><td>გვ 317-32.</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>წარსულში რეგიონული ეკონომიკების ზრდა საკმაოდ მაღალი ტემპებით ხასიათდებოდა საქართველოში. აფხაზეთის ეკონომიკა კი შესამჩნევი ტემპით ვითარდებოდა.1989 წლის მონაცემებით, აფხაზეტის ეკონომიკა 300 მილოინ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც დღევანდელი ფასებით 6 მლრდ აჭარბებს.1994 წლისთვის აფხაზეთში მაკროეკონომიკური ვითარება უაღრესად კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რა დროსაც წარმოების მოცულობამ 1989 წლის დონის მხოლოდ 5% შეადგინა.</td></tr>
<tr><td>34</td><td>კვარაცხელია მურმან</td><td>სიღარიბის რეტროსპექტივა.</td><td></td><td>აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან</td><td>გვ. 98-104</td></tr>
</table>

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“ მასალათა კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4 | |
| ანოტაცია:<br>სტატიაში განხილულია სიღარიბის როგორც კატეგორიის თეორიული ანალიზი, მისი არსებობის სხვადასხვა ფორმები. საზოგადოებრივი ფორმაციის ცვლილების შედეგად როგორი ტრანსფორმაცია განიცადა სიღარიბემ და წარმოიშვა „ახალი ღარიბები“, რომლებიც წინა ფორმაციაში მოსახლეობის საშუალო ფენებს განეკუთვნებოდნენ და ცხოვრების დონით კმაყოფილები იყვნენ. ამ მიზნით გამოკვლეულია ღონისძიებების მთელი სისტემა, რომელსაც სახელმწიფო ატარებს იმისათვის, რომ ამ კატეგორიის ღარიბებს შეექმნას პირობები შემოსავლების ზრდისთვის. ავტორი საფუძვლიანად მიანიშნებს იმაზე, რომ ადამიანის ცხოვრების ცუდი პირობების მიზეზად მხოლოდ დაბალ შემოსავლები არ მიიჩნევა, სხვადასხვა ფაქტორებმა შეიძლება განაპირობოს ეს მდგომარეობა. არსებული სიღარიბე შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა არამართლზომიერმა სუბიექტურმა მისწრაფებებმა.<br>კვლევამ დაადასტურა, რომ სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე მართებული გზაა ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპი, თუმცა ეს არ უნდა ამდიდრებდეს ისევ მდიდრებს და ღარიბების კეთილდღეობის ამაღლებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. სახელმწიფო პოლიტიკაც აქეთკენ უნდა იყოს მიმართული. | | | | | |
| 35 | **ლაზარაშვილი თეა** | სასურსათო უსაფრთხოების საინვესტიციო უზრუნველყოფა. | | თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVIII. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISSN 1987-6904 | 16 გვ. |
| ანოტაცია:<br>დღევანდელ გლობალურ პირობებში, როდესაც მოსახლეობა განაგრძობს ზრდას, ხოლო კლიმატის ცვლილება საფრთხეს უქმნის სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობას, სასურსათო უსაფრთხოება მთვარ პრიორიტეტად გვევლინება. სასურსათო უსაფრთხოების საკითხი თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებული ინტერესის საგანია. დედამიწის მოსახლეობა მუდმივად იზრდება, რაც შესაბამისად ზრდის მოთხოვნას სურსათსა და სურსათის უსაფრთხოებაზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის | | | | | |

პროგნოზით 2050 წლისთვის მოსახლეობა 9,8 მილიარდამდე გაიზრდება. მსოფლიო მოსახლეობა წელიწადში 1,1%-ით იზრდება, რაც დაახლოებით 83 მილიონი ადამიანია. მდგომარეობას ართულებს აგრეთვე კლიმატის გლობალური ცვლილებები, პანდემიები, რაც დამატებით გამოწვევებს უქმნის მოსახლეობის ადეკვატური რაოდენობით სურსათით უზრუნველყოფას. სასურსათო კულტურებში ინვესტირება არა მხოლოდ სტაბილური საკვების მიწოდების კრიტიკულ საჭიროებას აკმაყოფილებს, არამედ ინვესტირებისათვის სიცოცხლისუნარიან და მომგებიან წამოწყებას წარმოადგენს. საკვებზე გლობალური მოთხოვნის პროგნოზი, სასურსათო კულტურებში ინვესტირების მრავალ შესაძლებლობას აძლევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, გავიდნენ მზარდ ბაზარზე და ამავდროულად წვლილი შეიტანონ გლობალურ მდგრადობაში.

ინვესტიციები სასურსათო კულტურებში გულისხმობს ფინანსური რესურსების სტრატეგიულ განაწილებას სოფლის მეურნეობაში, რომელიც მიმართულია მოსახლეობის მიერ მოხმარებული კულტურების მოყვანასა და წარმოებისკენ. აქედან გამომდინარე ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა არსებითად მნიშვნელოვანია არსებული აგროსასურსათო პროდუქტის რესურსული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და ეფექტიანდ გამოყენება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 36 | **ლაზარაშვილი თეა** | არასახელმწიფო საპენსიო ფონდის საქმიანობაში არსებული რისკები. | | წიგნში - ეკონომიკური მეცნიერება და საქართველოს ეკონომიკა I, გამომცემლობა „უნივერსალი“ ISBN 978-9941-525-21-6 | გვ. 445-451 |

ანოტაცია:

ბოლო წლებში საპენსიო უზრუნველყოფის საკითხები მეტად აქტუალური გახდა. ამის ძირითად მიზეზად სახელდება შობადობის შემცირებით გამოწვეული დერმოგრაფიული ცვლილებები მოსახლეობის სტრუქტურაში და ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა. განსაკუთრებით ცხადად ესეთი ტენდენცია ევროკავშირის ქვეყნებში შეინიშნება. 1960 წლიდან 2000 წლამდე 60 წელზე მეტი პირების წილი მოსახლეობის საერთო პროცენტში გაიზარდა დაახლოებით 30%-ით, როდესაც, იმავე პერიოდში შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვი 20-დან 59 წლამდე გაიზარდა ძალიან უმნიშვნელოდ. პროგნოზის მიხედვით, უახლესი 40 წლის განმავლობაში ახალგაზრდა მოსახლეობის წილი 20 წლამდე და შრომისუნარიანი ასაკის თანდათან შემცირდება, ხოლო პენსიონერთა რაოდენობა კი კიდევ 10%-ით გაიზრდება.

ბოლო წლების დემოგრაფიული ტენდენციები იმაზე მოწმობს, რომ უახლეს მომავალში მათი განვითარება სულ უფრო მნიშვნელოვან გავლენას მოხდენს. საპენსიო სისტემების ფინანსირებაზე. თუკი 1986 წელს ევროკავშირის ქვეყნების თითოეულ პენსიონერზე საშუალოდ მოდიოდა 5 შრომისუნარაიანი ასაკის ადამიანი, 1996 წელს უკვე იყო დაახლოებით ოთხი. 2020 წლსთვის თითოეულ პენსიონერზე უკვე დაახლოებით 3 შრომისუნარიანი ასაკის ადამიანი მოდის.

მოსახლეობის დაბერება და დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობის შემცირება იწვევს სახელმწიფო ხარჯების გაზრდას სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურაში, იზრდება ზეწოლა საზოგადოების შრომისუნარიან წევრებზე. ნათელია, რომ სახელმწიფო საპენსიო სისტემებისათვის დამახასიათებელი დღეს არსებული ფინანსური პრობლემები მომავალში კიდვ უფრო მეტად გამწვავდება. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ უმეტესობა ევროპული საპენსიო სისტემები დაფუძნებულია მომუშავეების ხელფასიდან შენატანებზე და ამიტომ მეტად მგრძნობიერენი არიან ნებისმიერი რყევების მიმართ რომელიც ხდება ეკონომიკურად აქტიურ, შენატანების გადამხდელ მოსახლეობასა და საპენსიო შეღავათების მიმღებებს შორის. დღეს არსებული საპენსიო უზრუნველყოფის სისტემებისათვის, რომლებიც ფუქნციონირებენ ევროკავშირის ქვეყნებში, დამახასიათებელია მიმდინარე გადახდების დეფიციტი, ამიტომ ფინანსური ეფექტურობის გამწვავებულმა პრობლემებმა, რომელიც ჩამოყალიბდა საპენსიო სისტემებში გამოიწვია მათი რეფორმირების ობიექტური საჭიროება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 37 | **ლაზარაშვილი თეა,** ჩიქობავა მ, კაკულია ნ. | **კამათი თანამედროვე მონეტარული თეორიის ძირითადი დებულებების შესახებ** | DOI:10.52340/ekonomisti.2025.03.02 | საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, | №3, გვ. 33-45 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა DOI: 10.52340/EKONOMISTI e ISSN 2346-8432 p ISSN 1987-6890 | |

ანოტაცია:

თანამედროვე მონეტარული თეორიის (MMT) კონცეპტუალური და ანალიტიკური ჩარჩო ეფუძნება ფუნქციონალური ფინანსების პრინციპებს და ჩარტალიზმის სახელით ცნობილი ფულის თეორიას. კონკრეტულ მაკროეკონომიკურ ანალიზთან მიმართებაში, ის ემყარება გაბატონებულ ინსტიტუციონალურ პრაქტიკას. როგორც წესი, ეს მეთოდები მოიცავს შეზღუდვებს ცენტრალური ბანკისა და/ან ხაზინის ქცევაზე, შეზღუდვებს, რომლებიც დაწესებულია პოლიტიკური და იდეოლოგიური პროცესებით, რომლებიც ხშირად არამართებულად განიმარტება, როგორც მნიშვნელოვანი (არანებაყოფლობითი) შეზღუდვები. MMT ხსნის იდეოლოგიის ამ საბურველს, რათა გამოავლინოს თანამედროვე მონეტარული ეკონომიკის შინაგანი მახასიათებლები.

მოცემულ ნაშრომში შევეცადეთ, MMT-იდან გამომდინარე, პასუხი გაგვეცა ორთოდოქსული პარადიგმის მომხრეებისთვის, რომლებიც კრიტიკულად არიან განწყობილი MMT-ის ძირითადი დებულებების მიმართ. ასევე წარმოდგენილია რამდენიმე ძირითადი წინადადება, რომელიც შემუშავებულია MMT-ის მიერ, რაც გარკვეულ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს (და არა მარტო მათ) გადახედონ თავიანთ ცოდნას თანამედროვე, განვითარებული, კაპიტალისტური ეკონომიკის ფუნქციონირების შესახებ. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს შეხედულებები არ არის ყველა უნიკალური MMT-ისათვის და ეყრდნობა ფართო ჰეტეროდოქსულ ლიტერატურას.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 38 | **თ. ლაზარაშვილი** მამალაძე ი., ხვედელიანი ა. | კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა: ტენდენციები და ძირითადი გამოწვევები. | https://doi.org/**10.52340/ekonomisti.2025.02.04** | საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა DOI: 10.52340/EKONOMISTI e ISSN 2346-8432 p ISSN 1987-6890 | №2, გვ. 57-69 |

ანოტაცია:

ბოლო წლებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრობლემა სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. ტრანსნაციონალური კორპორაციების მზარდი როლი, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან გაზრდილი მოთხოვნები მათ მიმართ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრობლემას მეტად ამწვავებს. გლობალიზაციის ნეგატიური ასპექტები ტრანსნაციონალური კორპორაციებისაგან შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს, რაც კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაში გამოიხატება.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისადმი მიდგომები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით, რაც განპირობებულია ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული თავისებურებებით. მსოფლიოში ცნობილია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის რამდენიმე ძირითადი მოდელი, რომლებიც ხასიათდებიან შესაბამისი რეგიონების სპეციფიკური მახასიათებლებითა და პრიორიტეტებით.

COVID-19ის პანდემიამ კიდევ უფრო მეტად დაანახა ქვეყნებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა. კრიზისის დროს, უმეტესობა კომპანიებისა მოწოდებულია მხარი

<table>
<tr><td colspan="6">დაუჭიროს საკუთარ თანამშრომლებს, მომხმარებლებსა და საზოგადოებას. კლიმატის ცვლილებებისა და სოციალური უთანასწორობის პრობლემებმა უბიძგა კომპანიებს მდგრადი და სოციალური პასუხისმგებ-ლობის შემცველი პრაქტიკის დანერგვისაკენ.</td></tr>
<tr><td>39</td><td>თ. ლაზარაშვილი<br>დათუნაშვილი ლ,<br>გოგოხია თ.</td><td>ინოვაციური უსაფრთხოება, როგორც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი დეტერმინანტი.</td><td></td><td>აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“ მასალათა კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4</td><td>გვ. 217-228</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>მსოფლიოს უმეტესობა ქვეყნებში დიდი ხანია მიმდინარეობს კვლევები, რომლებიც ეხება ეროვნულ და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას. ამასთან ინოვაციურობა მოცემულ კვლევებში განიხილება როგორც ეკონომიკური ან სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების ძირითადი შემადგენელი ნაწილი. ამ დროის განმავლობაში შემუშავებულია ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების შესწავლის მეთოდოლოგია, ჩამოყალიბდა შემეცნებითი აპარატი და „ეროვნული უსაფრთხოების“, „სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების“ და „ინოვაციური უსაფრთხოების“ კატეგორიების სტრუქტურა.<br>მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების პრობლემასთან მიმართებაში უამრავი კვლევა ჩატარებული, მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ სისიტემური კვლევა, რომელიც ეძღვნება ეროვნულ უსაფრთხოების უზრუნველყოფას პრობლემების შესწავლასა ინოვაციური განვითარების პირობებში, დღევანდლამდე არ ჩატარებულა. განსაკუთრებით ეს ეხება ეროვნული უსაფრთხოებასა და ინოვაციურ საქმიანობას შორის ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის პროცესებს, ინოვაციური უსაფრთხოების კონცეფციის ფორმირებას და პრაქტიკაში მის რეალიზაციას.</td></tr>
<tr><td>40</td><td>თ. ლაზარაშვილი<br>ჩიქობავა მ,<br>კაკულია ნ.</td><td>რატომ ვერ განჭვრიტა მეინსტრიმულმა მაკროეკონომიკამ გლობალური ფინანსური კრიზისი.</td><td></td><td>აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“ მასალათა</td><td>გვ. 131-145</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td>კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>საყოველთაოდ აღიარებით, 2007-2009 წლების გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი ყველაზე უარესი გლობალური ეკონომიკური კრიზისია 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის შემდეგ; ორივე შემთხვევაში, ეკონომიკური ვარდნა თანდაყოლილი იყო მძიმე ფინანსური კრიზისით, ორივე კრიზისი შეეხო მსოფლიოს დიდ ნაწილს და ორივე შემთხვევაში დედამიწის დიდმა ნაწილმა თავი დააღწია მას. ყველაზე მეტად აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირისთვის დიდი გავლენა არ მოუხდენია 1930-იანი წლების დეპრესიას, ხოლო გლობალურ ფინანსურ კრიზისს ძლიერი გავლენა არ მოუხდენია ჩინეთის ეკონომიკურ ზრდაზე 2000-იანი წლების ბოლოს.<br>დიდი დეპრესიის დაწყებამდე ზოგიერთი ეკონომისტი, განსაკუთრებით ვებლენი (1919), გვაფრთხილებდნენ კრიზისის მოახლოებაზე. ორთოდოქსი ეკონომისტები, მათ შორის, ირვინგ ფიშერი, არ ეთანხმებოდნენ ამ აზრს. თვით დიდი დეპრესიის დაწყების შემდეგ ორთოდოქს ეკონომისტებს მხოლოდ უმნიშვნელო სასარგებლო პოლიტიკური რჩევები ჰქონდათ. ინგლისელი ეკონომისტი არტურ პიგუ ამტკიცებდა, რომ ხელფასების შემცირება უმუშევრობას შეამცირებდა, ხოლო ენდრიუ მელონი, აშშ-ის ბანკირი და ხაზინის მდივანი, მიესალმა „ლიკვიდაციას“, როგორც აღდგენისკენ მიმავალ გზას. მეინსტრიმულმა ეკონომისტებმა ვერ შეძლეს მოსალოდნელი გლობალური ფინანსური კრიზისის განჭვრეტა.<br>მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ მიზეზებს, რის გამოც მეინსტრიმული ეკონომისტების უმრავლესობა გაოცებულნი დარჩნენ, როდესაც მსოფლიოს თავს დაატყდა გლობალური ფინანსური კრიზისი. რეტროსპექტივაში გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მხოლოდ რამდენიმე მეინსტრიმულმა ეკონომისტმა იწინასწარმეტყველა კრიზისი. ციკლებისადმი მათი მიდგომა ემყარება კაპიტალისტური ეკონომიკის დინამიკის ფუნდამენტურ გაუგებრობას. საუკეთესო შემთხვევაში, მათი თეორია მიესადაგება სამყაროს, სადაც ფული ნეიტრალურია და სადაც ეკონომიკური სისტემის შიდა დინამიკა მას წონასწორობისკენ უბიძგებს.</td></tr>
<tr><td>41</td><td>მელაშვილი მედეა</td><td>სახელმწიფო ბიუჯეტში სასოფლო-სამეურნეო ასიგნებები და მისი როლი სასურსათო უსაფრთხოეის უზუნველყოფაში</td><td></td><td>თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVIII. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISSN 1987-6904</td><td>13 გვ.</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>მოცემული ნაშრომი განიხილავს სასურსათო უსაფრთხოების არსს, მის გლობალურ განვითარებას, თანამედროვე გამოწვევებს და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასოფლო-სამეურნეო ასიგნებათა როლს ქვეყნის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის კონტექსტში. ნაშრომში წარმოდგენილია სასურსათო უსაფრთხოების ევოლუცია 1970-იანი წლებიდან დღემდე, განხილულია FAO-ს, WHO-ს, IFAD-ისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომები, ასევე საქართველოსთვის მნიშვნელოვანი რაოდენობრივი, ხარისხობრივი და სოციალური ასპექტები.<br>განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობაზე გამოყოფილი ასიგნებების დინამიკას 2019–2024 წლებში, მათი ზრდის ტენდენციებს, მთავარ პროგრამებს („აგროკრედიტი“, „დანერგე მომავალი“, მელიორაცია, ინოვაციური მეურნეობის მხარდაჭერა და სხვ.) და</td></tr>
</table>

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თითოეულის გავლენას ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაზე. ნაშრომში მითითებულია, რომ სასურსათო უსაფრთხოების განმტკიცება შეუძლებელია აგრარული სექტორის დაფინანსებისა და ინოვაციური განვითარების გარეშე, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში მიზნობრივად და სტრატეგიულად განაწილებული ასიგნებები წარმოადგენს საქართველოს სასურსათო სტაბილურობის მიღწევის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას. | | | | | |
| 42 | **მელაშვილი მ.,** ქისტაური ნ., ქველაძე ქ. | სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში | | აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“ მასალათა კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4 | გვ. 228-233 |
| **ანოტაცია:** ნაშრომი ეძღვნება ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიცაა სურსათის უსაფრთხოების უზრყნველყოფა და მისი სამართლებრივი რეგულირება. ავტორს განხილული აქვს სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკანონმდებლო საკითხები, როგორც უცხოეთში, კერძოდ ევროკავშირში, ასევე საქართველოში. აქ მითითებულია ყველა ის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებიც ამათუ იმ ქვეყნის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში ეხმარებიან მათ არსებული პრობლემების მოგვარებაში. როგორიცაა, ეროვნული კანონმდებლობის შემუშავება, შესწორება და განახლება სურსათის კონტროლის და ზედამხედველობის სისტემის სრულყოფა საერთაშორისო სამართლის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ნაშრომში მითითებულია სურსათის უვნებლობის აღსრულების მექანიზმები (ინსპექტირება აუდუტი, ჯარიმები, სანქციები და სხვ.), რომელთა მიზანია სურსათის უვნებლობის მაღალი სტანდარტების შენარჩუნება. ავტორი ასკვნის, რომ ნაშრომში ,,სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი ასპექტი საქართველოში“-დან გამომდინარე მათი რეგულირება არსებული კანონმდებლობის დახვეწის გზით უნდა მოხდეს, და ეს უდაოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა. | | | | | |
| 43 | **ნოზაძე ზურაბ** | საქართველოში წყლის რესურსების როლი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში | | თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVIII. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. | 9 გვ. |

<table>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td>ISSN 1987-6904</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>გაანალიზებულია წყლის რესურსების როლისა და მნიშვნელობაზე სურსათის გამოყენებაზე და მის უსაფრთხოებაზე, სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარ ბუნებრივ რესურსზე.<br>მოცემულია წყლის რესურსების ხელახალი გამოყენების უდიდესი როლის შესახებ წყლის დეფიციტის პრობლემის გადასაჭრელად და ამავდროულად სურსათის უვნებლობის გაძლიერების მიზნით. გაანალიზებულია მოწინავე გამწმენდი პროცესები და დამუშავების სისტემებში, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ მაღალი ხარისხის აღდგენილი წყალი, რომელიც შესაფერისია მორწყვისათვის და ასევე ხელს უწყობს გარემოსდაცვით მდგრადობას დაბინძურების შემცირებით და ბუნებრივი რესურსების დაზოგვით.<br>გაანალიზებულია გლობალიზაციის პირობებში და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ბუნებრივი კატაკლიზმები, რომლებიც პირველ რიგში ეხება წყლის რესურსებს და მნიშვნელოვან მის როლს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტაში.<br>მოცემულია კონკრეტულ წინადადებებში და ღონისძიებებში, რომელიც ეხება წყლის რესურსების რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებას, რაც საშუალებას მოგვცემს დადებითად გადავჭრათ სასურსათო პრობლემები და ავამაღლოთ ადამიანთა ცხოვრების დონე, უსაფრთხოება.</td></tr>
<tr><td>44</td><td>ნოზაძე ზურაბ</td><td>მაკროეკონომიკური საფრთხეების და გამოწვევების ძირითადი საკითხები საქართველოში</td><td></td><td>აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“ მასალათა კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4</td><td>გვ. 233-236</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>სტატიაში მოცემულია თანამედროვე პირობებში მასკროეკონომიკაში არსებული ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან ეკონომიკის მდგრად განვითარებას.<br>გაანალიზებულია ეკონომიკური უსაფრთხოების რისკი და საშიშროება, რომელიც უარყოფითად მოქმედებენ ეკონომიკის განვითარებაზე და ქვეყნის სიძლიერეზე.<br>მოცემულია კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები არსებული პრობლემების გადაწყვეტისათვის.</td></tr>
<tr><td>45</td><td>პაპავა ვლადიმერ</td><td>ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოება და „ტექნოლოგიური მახის“ დაძლევის ძირითადი გზები</td><td></td><td>თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. XVIII. თსუ პაატა</td><td>14 გვ.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td>გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISSN 1987-6904</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>ნაშრომში გამოკვლეულია ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების არსი, ძირითადი საფრთხეების სახეობები და მათთან დაკავშირებული რისკები. ნაჩვენებია, რომ ფირმის წინაშე მდგარი ეკონომიკური საფრთხეებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული არის „ტექნოლოგიურ მახეში“ მოხვედრა, როცა ფირმების მიერ ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის მიუხედავად, ისინი არ რისკავენ და უპირატესობას მოძველებულ ტექნოლოგიების გამოყენებას ანიჭებენ. გაანალიზებულია „ტექნოლოგიურ მახეში“ ყოფნის ხელშემწყობი ძირითადი პირობები. დასაბუთებულია, რომ ფირმის „ტექნოლოგიურ მახეში“ ყოფნა არის რეტროეკონომიკის, როგორც ასეთის, ხელშემწყობი. ეს უკანასკნელი კი გლობალური პრობლემაა და არა მარტო განვითარებადი, არამედ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვისაცაა დამახასიათებელი. ნაჩვენებია ის აუცილებელი პირობები, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნება „ტექნოლოგიური მახედან“ თავის დაძლევა, ანუ „ტექნოლოგიურ ნახტომის“ განხორციელება.</td></tr>
<tr><td>46</td><td>პაპავა ვლადიმერ, ბედიანაშვილი გივი</td><td>Trade Wars and Disruptions in Global Supply Chains in an Era of Growing Uncertainty (სავაჭრო ომები და გლობალური მიწოდების ჯაჭვების რღვევები მზარდი გაურკვევლობის ეპოქაში)</td><td></td><td>Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, ISSN - 0132 – 1447</td><td>Vol. 19, No. 4. pp. 207-212</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>სტატიაში გამოკვლეულია ის, თუ როგორ ხდება გლობალური მიწოდების ჯაჭვების კონფიგურაციის ცვლილება ცვალებადი მსოფლიო წესრიგის საპასუხოდ. სტატიაში ყურადღება ეთმობა გლობალურ ვაჭრობაში კონცეპტუალურ ცვლილებებს, კერძოდ, ეფექტიანობიდან მდგრადობაზე გადასვლას, ასევე ტექნოლოგიური სუვერენიტეტის მზარდ როლს, როგორც ეროვნული ეკონომიკური სტრატეგიის ძირითად ელემენტს. მიღებული კვლევის შედეგების საფუძველზე, ნაშრომში აღნიშნულია, რომ ისეთი ფაქტორების უარყოფითი გავლენის მიუხედავად, როგორიცაა სავაჭრო კონფლიქტები, მიწოდების ჯაჭვების ფუნქციონირების დარღვევები და გლობალური გაურკვევლობის მაღალი ხარისხი, ეს გამოწვევები ერთდროულად აჩენს ახალ შესაძლებლობებს ინოვაციური განვითარებისთვის, გაზრდილი ადაპტირებისა და სტრატეგიული რესტრუქტურიზაციისთვის. სტატიაში მინიშნებულია პროაქტიული და მდგრადი მართვის მიდგომების მნიშვნელობაზე, რომლებსაც შეუძლიათ კრიზისული მოვლენები გარდაქმნან ინკლუზიური და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის იმპულსებად, როგორც ეროვნულ, ასევე გლობალურ დონეზე.</td></tr>
<tr><td>47</td><td>პაპავა ვლადიმერ</td><td>Transport Corridors of Central Asia – Facing the Challenges of Confrontational Globalization (ცენტრალური აზიის სატრანსპო-რტო დერეფნები კონფრონტაციუ-ლი გლობალიზა-ციის პირობებში)</td><td></td><td>თბილი-სი, GFSIS</td><td>https://gfsis.org/wp-content/uploads/2025/03/Transport-Corridors-of-Central-Asia-%E2%80%93-Facing-the-Challenges-of-Confrontational-Globalization.pdf</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>სატრანსპორტო დერეფნებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას უმნიშვნელოვანესია გლობალიზაციის ბუნების გათვალისწინება. ცენტრალური აზიის ქვეყნები დაინტერესებულნი არიან სატრანსპორტო დერეფნების განვითარებით. ეს, პირველ რიგში, ჩინეთის „ერთი სარტყლის გზის“ ინიციატივას (BRI) და საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანს (INSTC) ეხება. BRI-ის ჩრდილოეთ დერეფანი დაბლოკილია რუსეთის მიერ უკრაინაში ომისა და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის ეკონომიკური სანქციების გამო. სამხრეთ დერეფნის მხრივ, ირანის როლი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რადგან ეს დერეფანი ირანში არსებულ INSTC-ს კვეთს, რაც რეგიონში დასავლეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება. შედეგად, შუა დერეფნის როლი იზრდება, რაც რუსეთისა და ირანის ინტერესებს ეწინააღმდეგება. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი ღიად დაუპირისპირდნენ ჩინეთის ინტერესებს ამ საკითხში. ევროპის ინტერესი ცენტრალური დერეფნის მიმართ უდავოა. თუმცა, როგორც ჩანს, შეერთებული შტატები უფრო მეტად ორიენტირებულია IMEC-ის (საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის) განვითარებაზე და შეზღუდული ინტერესი გამოხატა ცენტრალური აზიისა და მისი სატრანსპორტო მარშრუტების მიმართ, რაც მიდგომის მნიშვნელოვან ცვლილებას მოითხოვს. გლობალური მიწოდების ჯაჭვების მდგრადობის უზრუნველყოფის აუცილებლობის გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა აქვს „ალტერნატიულ“ სატრანსპორტო დერეფნებზე დაფუძნებული მიდგომიდან „შევსებაზე“ დაფუძნებულ მიდგომაზე გადასვლას.</td></tr>
<tr><td>48</td><td>პაპავა ვლადიმერ, თაფლაძე თამარ</td><td>О транспортных коридорах через Кавказ, связывающих Европу и Азию (კავკასიაზე გამავალი ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნების შესახებ)</td><td></td><td>აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“ მასალათა კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4</td><td>გვ. 111-116</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია:<br>სტატიაში განიხილულია ევროპასა და აზიას კავკასიის გავლით დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნები. ესენია შუა დერეფანი, რომელიც ჩინეთის „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ ინიციატივის ნაწილია და ზანგეზურის დერეფანი. ორივე დერეფანი აზერბაიჯანსა და თურქეთს აკავშირებს, თუმცა პირველი გადის საქართველოს გავლით, ხოლო მეორე - სომხეთში (ირანის საზღვართან ახლოს). ნაჩვენებია, რომ ზანგეზურის დერეფნის შუა დერეფნის განშტოებად განხილვა არასწორია მანამ, სანამ პეკინი ამას არ აღიარებს, რადგან შუა დერეფანი წმინდა ჩინური პროექტია. დასაბუთებულია, რომ კავკასიის მშვიდობიანი განვითარებისთვის შუა და ზანგეზურის დერეფნები უნდა განიხილებოდეს არა როგორც ალტერნატივები, არამედ როგორც ურთიერთშემავსებელი მარშრუტები.</td></tr>
<tr><td>49</td><td>ქორქიკაშვილი ნინო</td><td>სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ჯიშების გამოყვანა და გაშენება ინოვაციების დანერგვის გზით</td><td></td><td>თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო</td><td>11 გვ.</td></tr>
</table>

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | შრომების კრებული, ტ. XVIII. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISSN 1987-6904 | |

ანოტაცია:
სასოფლო-სამეურნეო კულტურები წარმოადგენს ადამიანთა კვებისა და ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს. მათგან მიიღება საკვები პროდუქტები, ნედლეული ინდუსტრიული წარმოებისთვის, საკვები პირუტყვისთვის და სხვა აუცილებელი რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს სტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. მსოფლიოს მოსახლეობის ზრდასა და კლიმატის ცვლილებების პირობებში აგრარული სექტორის როლი უფრო და უფრო იზრდება. სასოფლო-სამეურნეო სექტორი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიმართულებაა. გლობალური კლიმატური ცვლილებები, მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებული მოთხოვნის ზრდა, ნიადაგის დეფიციტი და სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებები საჭიროებს თანამედროვე მიდგომებს სოფლის მეურნეობაში. გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ახალი, მაღალპროდუქტიული და გარემო ფაქტორებისადმი გამძლე ჯიშების გამოყვანა. ინოვაციური ტექნოლოგიების ინტეგრირება ამ პროცესში ქმნის შესაძლებლობას, მივიღოთ კულტურები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიკურად ეფექტურ პროდუქციას.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 50 | **ჟორჟიკაშვილი ნინო** | საქართველოს სატრანსპორტო სექტორში არსებული მდგომარეობა და გამოწვევები | | აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები“ მასალათა კრებული. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. ISBN 978-9941-36-420-4 | გვ. 381-388 |

ანოტაცია:
